# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№75 (9906) 2025 წლის 29 მაისი, ხუთშაბათი


## „სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე!“



გური ოტობაია:

## „...და მებრალვის „დაღ-დასმული თაობა“

იხ. 4-5 გვ.

ეს ჩვენი ისტორიაა



6

## მეგრელთა საქმე



## პირადი შანტაჟი რა საკადრისია!

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პირადი ინტერესი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა არ დამიყენებია არც 2012 წელს და არც 10 წლის შემდეგ — 2022 წელს, როდესაც, სწორედ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, ჩემი პირადი ინტერესები უდიდესი რისკის ქვეშ დავაყენე.

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადება!

იხ. 2 გვ.

ირაკლი კობახიძე:



7

## დაბრუნდით საქართველოში, ღირსეული სამსახურები გექნებათ!

## კიდევ ერთხელ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი



იხ. 4 გვ.

## 26 მაისიც ჩაუვარდათ!



8

## პუტინი ტრამპს იდიოტად თვლის?!

რუსუდან ლორთქიფანიძე



9

## ჟურნალისტი - ჟურნალისტთა აღმზრდელი

## მიხაელ შუმახერის 11 ბოლიდი თითქმის 16 მილიონ ევროდ გაიყიდა

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# პირადი შანტაჟი რა საკადრისია!

## „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის განცხადება!



**„დღეს გავრცელდა საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ მე 22 მაისს უარი განვაცხადე ამერიკის ელჩთან შეხვედრაზე, სადაც „ტრამპის ადმინისტრაციის“ გზავნილი უნდა მომესმინა. ეს განცხადება ჩემთვის გაუგებარია, რადგან საელჩომ ძალზე კარგად იცის ყველა დეტალი, რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული.**

ვადასტურებ, რომ რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირებთან ნამდვილად შედგა საელჩოს კომუნიკაცია შეხვედრასთან დაკავშირებით. ამერიკის ელჩმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს შეატყობინა, რომ მას სურდა ჩემთან შეხვედრა და „მდივან რუბიოს გზავნილის გადაცემა“, რასთან დაკავშირებითაც მე ღრმა პატივისცემა გამოვხატე, თუმცა, შეხვედრაზე უარი განვაცხადე.

ამერიკულ მხარესთან შეხვედრებზე უარის მიზეზი ადრეც საჯაროდ განვმარტე და ის კვლავაც უცვლელია. გავიხსენებ, რომ პირადი შანტაჟის პირობებში, შარშან ბატონ ო'ბრაიენსაც ვუთხარი უარი შეხვედრაზე, როდესაც ჩემს მიმართ ჯერ მხოლოდ არაფორმალური სანქციები მოქმედებდა. შეხვედრის შეთავაზება მანამდეც რამდენჯერმე მივიღე და მაშინაც იგივე მიზეზით ვთქვი უარი, რაც წინა ადმინისტრაციას არაერთხელ წერილობითაც განვუმარტე.

წინა ადმინისტრაციის დროიდან მოყოლებული, ამერიკულმა მხარემ დამიწესა ჯერ არაფორმალური და შემდეგ, ფორმალური სანქციები. (ჩემს მიმართ არაფორმალური სანქციები ძალზე უხეში ფორმით მოქმედებს. მაგალითად, შვეიცარიული ბანკი „იულიუს ბერი“ ჩემს მიერ სასამართლოს გზით მოგებულ თანხას, რომელიც არავითარ ფორმალურ სანქციას არ ექვემდებარება, სრულიად თავხედურად არ მიბრუნებს, რაშიც ამერიკელი ადვოკატებიც არიან ჩართული.

ამგვარი პირადი შანტაჟის ფონზე, ჩემთვის ელჩთან შეხვედრა და სახელმწიფო საქმეებზე საუბარი არასწორად მიმაჩნია. ასეთ დროს, აუცილებლად მექნება კომპლექსი, რომ გადაწყვეტილებას სახელმწიფო საკითხებთან დაკავშირებით ჩემი პირადი ინტერესების საპირწონედ ვიღებ, რაც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია. ეს კომპლექსი მაშინაც კი დამრჩება, როდესაც მექნება, თუნდაც, განცდა, რომ შეთანხმება ორივე მხარისთვის სასარგებლო შეიძლება იყოს. ამასთან, ეს კომპლექსი აუცილებლად დამრჩება არა მხოლოდ ჩემს თავთან, არამედ გუნდთანაც და საზოგადოებასთანაც.

**ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი პირადი ინტერესი სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა არ დამიყენებია არც 2012 წელს და არც 10 წლის შემდეგ – 2022 წელს, როდესაც, სწორედ სახელმწიფო ინტერესების სასარგებლოდ, ჩემი პირადი ინტერესები უდიდესი რისკის ქვეშ დავაყენე.**

გავიხსენებ იმასაც, რომ როდესაც გასული წლის შემოდგომაზე, არაფორმალური სანქციების მოქმედება მცირე დროით შეჩერდა და გარკვეული თანხები გათავისუფლდა, მე თავადვე შევთავაზე ამერიკის ელჩს შეხვედრა, რაზეც ის თავდაპირველად დამთანხმდა, თუმცა, შეხვედრა ჯერ რამდენჯერმე გადადო, ხოლო შემდეგ მასზე საერთოდ უარი განაცხადა.

იმდენად ვარ დაინტერესებული ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვით, ამერიკულ მხარეს ისიც კი ვაცნობე, რომ მზად ვიყავი, დაბლოკილი თანხა არა პირადი მიზნებით, არამედ მათ მიერ ნაკარნახევი ნებისმიერი დანიშნულებით დამეხარჯა, რამეთუ ფული არც მანამდე და არც ახლა არ არის ჩემი ინტერესი. მკაფიოდ განვმარტე, რომ დაბლოკილი თანხა მიქმნის ერთი მხრივ კომპლექსს, მეორე მხრივ კი განცდას, რომ შანტაჟის ქვეშ რაიმე გადაწყვეტილება არ მივიღო. თუმცა, ამაზე არავითარი პასუხი არ მიმიღია. შესაბამისად, ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ბაიდენის ადმინისტრაციას არა ჩემი თანხა, არამედ მხოლოდ ამ თანხით შანტაჟი აინტერესებდა.

აქვე მინდა დავაზუსტო, რომ უართან ერთად, ელჩს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა შევთავაზეთ. პრემიერ-მინისტრი არ არის არც ფორმალური და არც არაფორმალური სანქციების ქვეშ და შესაბამისად, მას პირად შანტაჟთან დაკავშირებული ვერავითარი კომპლექსი ვერ ექნება. თუმცა, ელჩმა ამაზე უარი განაცხადა, რაც გვიმყარებს რწმენას, რომ ისინი სწორედ პერსონალურ შანტაჟს განიხილავენ წამყვან ფაქტორად ქართული მხარის მიერ სახელმწიფო ინტერესებთან დაკავშირებული პოტენციური გადაწყვეტილების მიღებისას.

შეიძლება მათ თქვან, რომ მე, როგორც მმართველი პარტიის დამფუძნებელს და საპატიო თავმჯდომარეს, მაქვს განსაკუთრებული გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე. თუმცა, ამასთან დაკავშირებით, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მმართველ პარტიაში არცერთი პრინციპული გადაწყვეტილება არ მიიღება გუნდის და მით უმეტეს, პრემიერ-მინისტრის ჩართულობის გარეშე. აქედან გამომდინარე, მხოლოდ ჩემთან შეხვედრის მოთხოვნას აქვს ერთადერთი ახსნა, რომ ამგვარ შეხვედრას მხოლოდ პირადი შანტაჟის ფონზე აქვს ფასი.

**იმედი მაქვს, ამერიკის საელჩო დადებითად უპასუხებს საქართველოს მთავრობის შეთავაზებას ქართულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობის სუფთა ფურცლიდან და კონკრეტული გზამკვლევით განახლების შესახებ. საქართველოს ხელისუფლების თითოეული ლიდერი გამოთქვამს სრულ მზადყოფნას, ამერიკული მხარის რეალური დაინტერესების შემთხვევაში, აქტიურად ჩაერთოს ქართულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვის პროცესში!**



## აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დამოუკიდებლობას გვილოცავს!

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ ყაველაშვილს დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს.**

თეთრი სახლის ლიდერი მისალოც წერილში ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობების გაძლიერებაზე.

**„ბატონო პრეზიდენტო!**

**დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის 107-ე წლისთავია — ეპოქალური თარიღი ქართველი ხალხის ბრძოლაში სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ეროვნული იდენტობისათვის, რომელიც მძიმე სირთულეებისა და გამოწვევების ფონზე მიმდინარეობდა თაობიდან თაობამდე.**

**ჩემი ადმინისტრაცია ერთგულია, განამტკიცოს საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობები. სამომავლოდ ველოდები ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას სამართლიანი ვაჭრობის მხარდაჭერისა და ორმხრივი თანამშრომლობის არეალის გაფართოების გზით.**

**გულითადად ვულოცავ ქართველ ხალხს ამ მნიშვნელოვან თარიღს, რომელიც ქვეყნის გამორჩეულ და მრავალფეროვან ისტორიას ასახავს“!**



### ირაკლი კობახიძე:

## ამერიკასთან თანამშრომლობაში ღიაობა ჩვენთვის უმთავრესია!

**მოხარული ვართ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან შემოვიდა წერილი, სადაც პირდაპირ არის გამოხატული ღიაობა თანამშრომლობის მიმართ და ჩვენ ამას ვითხოვდით,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა.

კობახიძის თქმით, სახელმწიფო დეპარტამენტიდან გამოგზავნილი პირველი წერილი რადიკალურად განსხვავდება მიხეილ ყაველაშვილის სახელზე პრეზიდენტ ტრამპის მხრიდან შემოსული წერილისგან.

**ირაკლი კობახიძის განმარტებით, ეს წარმოაჩენს დაპირისპირებას, რომელიც ახლა წარიმართება ტრამპის ადმინისტრაციასა და „დიფ სთეითს“ შორის. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილს წერილი გამოუგზავნა, რომლითაც დამოუკიდებლობის დღეს ულოცავს. წერილში ტრამპი აღნიშნავს, რომ მისი ადმინისტრაცია ერთგულია, განამტკიცოს საქართველოს მთავრობასთან მშვიდობიანი და ნაყოფიერი ურთიერთობები.**



# შინაგან საქმეთა მინისტრი გელა გელაძე იქნება

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ვახტანგ გომელაურს გელა გელაძე შეცვლის.**

გელა გელაძე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ის სხვადასხვა დროს იყო თავდაცვისა და განათლების მინისტრების მოადგილეც.

# ახალი ბრძანება, რომელიც 4 ივნისიდან ამოქმედდება

**საქართველოს მოქალაქის პირადობის, დროებითი და მუდმივი ბინადრობის, ასევე დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობების ფორმები იცვლება.**

შეიცვლება საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, ასევე დროებითი და მუდმივი ბინადრობის, დროებითი საიდენტიფიკაციო ელექტრონული მოწმობის ვიზუალი. ამის შესახებ მინისტრის 10 მარტის ბრძანებაშია აღნიშნული.

**როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ეს ბრძანება ამოქმედდება 2025 წლის 4 ივნისიდან. რაც შეეხება ზემოჩამოთვლილ ძველ მოწმობებს, ანუ ახალი ბრძანების ამოქმედებამდე გაცემულ შესაბამისი მოწმობებს, ისინი მოქმედებს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით.**

**ამასთან, ბრძანების თანახმად, მოწმობაზე დაიტანება საქართველოს სახელმწიფო გერბი სრული სახით, ერთ ფერში და საქართველოს სახელმწიფო დროშა.**

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა



**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების ფარგლებში მინიჭებული კვალიფიკაციების აღიარების მიმართულებით თანამშრომლობასა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, დოკუმენტს ხელი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ჰუაი ძინფენგმა მოაწერეს.

ხელშეკრულების გაფორმებამდე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. აღინიშნა, რომ უმაღლესი განათლების გარდა, თანამშრომლობის გაფართოება შეეხება ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებებსაც.

# პუტინი დასავლეთისგან წერილობით დასტურს ითხოვს!

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინაში ომის დასასრულებლად დასავლელი ლიდერებისგან ითხოვს წერილობით პირობას, რომ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება შეჩერდება და რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ნაწილი გაუქმდება,** – ამის შესახებ სააგენტო „როიტერი“ მოლაპარაკებების შესახებ ინფორმირებულ სამ რუსულ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით წერს.



ნატოს გაფართოების შეჩერებისა და სანქციების შემსუბუქების გარდა, რუსეთის მოთხოვნებს შორის არის დასავლეთში რუსული გაყინული აქტივების საკითხის გადაჭრა და უკრაინაში რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვა.

**„პუტინი მზად არის მშვიდობის დასამყარებლად, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად“,** – თქვა ერთ-ერთმა წყარომ, **რომელიც „როიტერს“ ანონიმურობის პირობით ესაუბრა. ამასთან, როგორც მედიასაშუალების წყარო აღნიშნავს, თუ პუტინი გააცნობიერებს, რომ მშვიდობის მიღწევა მისი პირობებით შეუძლებელია, ის ეცდება, უკრაინელებსა და ევროპელებს სამხედრო წარმატებებით აჩვენოს, რომ „მშვიდობა ხვალ კიდევ უფრო მტკივნეული იქნება“.**

**კიდევ ერთი წყარო კი აღნიშნავს, რომ ამჟამად პუტინი ნაკლებად არის განწყობილი ტერიტორიულ კომპრომისზე წასასვლელად. „პუტინმა გაამკაცრა თავისი პოზიცია“,** – აღნიშნა მან.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აქვეყნებს აკადემიის ნამდვილი წევრისა და წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებულ კანდიდატთა სიას სპეციალობების მიხედვით:

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის ვაკანსიის დასაკავებლად რეგისტრირებული კანდიდატები:**

| ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება | |
|---|---|
| სპეციალობა, ვაკანსია | აკადემიკოსობის კანდიდატები |
| მიკრობიოლოგია - 1 ვაკანსია | 1. **ფრანგიშვილი დავით** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ლომთათიძე ზაურ** - ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი |
| **წევრ-კორესპონდენტთა ვაკანსიების დასაკავებლად რეგისტრირებული კანდიდატები:** | |
| მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| მათემატიკა - 1 ვაკანსია | 1. **ფირაშვილი თეიმურაზ** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ვაშაყმაძე თამაზ** - ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი |
| დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| გეოგრაფია - 1 ვაკანსია | 1. **ელიზბარაშვილი ნოდარ** - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი<br>2. **ბოლაშვილი ნანა** - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი<br>3. **ელიზბარაშვილი ელიზბარ** - გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი<br>4. **კერესელიძე დავით** - ტექნიკის მეცნიერებათ დოქტორი |
| საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| კიბერუსაფრთხოება - 1 ვაკანსია | - **იავიჩი მაქსიმ** - მათემატიკის დოქტორი |
| ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| პედიატრია - 1 ვაკანსია | - **ფაღავა ყარამან** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი |
| ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება | |
| სპეციალობა, ვაკანსია | წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატები |
| დასავლური ცივილიზაციის ეთიკა და ესთეტიკა - 1 ვაკანსია | - **ბათიაშვილი ირაკლი** - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი |

## „სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე!“



**გური ოტობაია,**
მწერალი,
ჟურნალ „კირბის“ (ოქროს საწმისი).
მთავარი რედაქტორი,
საპატიო დოქტორი.

**ჩვენ კი რას ვხედავთ, კიბეებზე აეკიდებიან სამართალდამცველებს დიფსთეითელებით დაქოქილი ჟურნალისტები, პირზე დუჟი გადასდით, ყოველნაირად ცდილობენ დამამცირებელი სიტყვებით კალაპოტიდან ამოაგდონ მსხვერპლი, უშვერი ფრაზები და ქმედებანი აღძრან მათში, როგორც ეს დამართა ერთმა უხამსმა რეპორტიორმა რაინდ კაცს – ემზარ კვიციანს.**

**მსგავსი პროვოკაცია კონსტიტუციით, პრესის კანონით სათანადოდ უნდა განიკითხებოდეს და განიკითხება კიდეც. ფრაზეოლოგია: „მონა!“, „რუსი!“, „არალეგიტიმური ხელისუფლების დამქაში“! ძარღვებს უწეწავს მოუმზადებელ რიგითებს და ხან მკვახე შეზახილებით, ხანაც ხელკვრითაც ცდილობენ შელახული ღირსების დაცვას. ხოლო ამ ინსპირირებულ ქმედებას ჟურნალისტზე თავდასხმას ეძახის ფულით დაქოქილი მედია და შემდგომ მიდის ამ**

გამოქვეყნებულია, სიტყვისთვის, პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძის** მხარდაჭერის სტატუსი, და თუ გააზიარებ, გამოექომაგები ამ გონებანათელ ადამიანს, ეგრევე თავს დაგესხმიან ჩასაქოლად: **„გური?“ „გვიმარას ავტორი?“ „ალბათ, დაბერდა!“. „კარგი, რა?!“ „ეგ, სამგლე!“**

**სოციალურ ქსელი წალეკილია უნმაწუროებებით. ამ ავგიას თავლას ათი ჰერაკლე ვერ გამოხვეტავს დღე-ღამეში კი არა, ორმოც კვირაძალს... დემაგოგიებით გოგოქრობენ ვიეთნი, ვიეთნი. სხვები დაურიდლად განახებენ წყვილ-წყვილი ვაჟებისა და ქალიშვილების წუწნაობას, მტყლაშამტყლუშს. მიკროფონს გჩრის ყანყრატოში უხამსი ჟურნალისტების კასტა.**

უფროსი თაობის პრეტენზიები თავიანთი მემკვიდრეების მიმართ არახალია: მშობლებს უნდათ მათი ვაჟები და ასულები მკვიდრად მისდევდნენ ჩვენს მრავალათასწლოვან ფასეულობებს: ენას, მამულს, სარწმუნოებას. უნ-

### ბუღაძის ხბოკუნტრუშული

**კაცობრიობის საამაყო ნონა გაფრინდაშვილმა, ჩვენმა კონგენიალურმა ნონამ, 9 აპრილი და 26 მაისი ერთმანეთს რომ დაატოლა, ბრაზისგან გასივდა „ნაცმოელების“ ავადმყოფური კრებსითობა.**

არადა, მე რომ მკითხოთ, 26 მაისი გაცილებით დანაშაულებრივია ჩვენი ერისთვის, ვიდრე 9 აპრილი, ვინაიდან 26 მაისის სადამსჯელო ოპერაციებს „მშობლიური“ ხელისუფლება აწარმოებდა „საკუთარი“ ხალხის წინააღმდეგ, ხოლო 9 აპრილს – უცხო, გადამთიელი, რუსული იმპერია, რუსული ჩექმებითა და ალესილი ნიჩბებით. ასე რომ, ამ ორ ფენომენს შორის დიდი მორალურ-ზნეობრივი სხვაობაა. მაგრამ დიდებულ ნონას მენტორული ტონით რომ განაქიქებს ვინმე ბუღაძე, თამარ მეფისა და პატრიარქის „წარმწყმედელი“ ვერშემდგარი მწერლუკა, ქვეყანა საცოდაო-

# ...და მებრალვის „დაღდასმული თაობა“

### თავისუფლება

**ითქვა ერთხელ და სამუდამოდ: კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი ფასეულობა თავისუფლებააო, და იქვე, შეგნებულ აუცილებლობად განიმარტა იგი. მაგრამ არსებობს ამავდროულად ამგვარი კალამბურიც: გიჟი თავისუფალია. აქედან გამომდინარე სენტენცია: „მე ვარ და ჩემი ნაგადი“, მოჩვენებითი მდგომარეობაა. იგი უამრავზე უამრავი ანგარიშვალდებულებითაა გადაჯაჭვული სხვა პიროვნებებს, საზოგადოებებს, სახელმწიფოებს. დასტურ, ერთი ინდივიდის თავისუფლებამ არ უნდა ხელყოს მეორის სასიცოცხლო ინტერესები. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს ძალმომრეობასთან, კონფრონტაციასთან.**

რუსთაველის ბულვარის მეთავისუფლეთა ვნებათაღელვანი „მოლოტოვის კოქტეილებით“ რომ ცდილობს უმრავლესობით არჩეული ხელისუფლების გადაშენებას, ვითომ რიგგარეშე არჩევნების გზით, ძალაუფლების უზურპაციის მორიგი მცდელობაა „დიფ სთეითის“ მესვეურთა შეკვეთით. ასეთი დამოკიდებულება წმინდა სისხლის უმცირესობის დიქტატურაა. ბავშვის ენით: „ვტირი, **რადგანაც გამდის!“** სინამდვილეში იგი ევროპული „ფასეულობების“ დემაგოგიური გაფეტიშებაა. რუსთაველის ბულვარის მეთავისუფლენი „მოლოტოვის კოქტეილით“ უმასპინძლდებიან სამართალდამცველებს, რომლებიც პირველ რიგში საქართველოს მოქალაქეები არიან და თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას პირნათლად ასრულებენ. დემონსტრაციების დასაწყისში ესენი აღვირახსნით აგინებდნენ ტრამპს, მაგრამ მისი გაპრეზიდენტების შემდეგ ამერიკის დროშაზე ამოსდით მზე და მთვარე. ყოფილიყვნენ ისინი ევროპასა თუ ამერიკაში, აქაური მარათონული საპროტესტო მსვლელობების ნაცვლად, თავ-პირჩამონგრეულები აღმოჩნდებოდნენ საპატიმროთა.

### ვილანდის მასმედია

**პროფესიით ჟურნალისტი ვარ და რამდენადმე მომეხსენება ინტერვიუ რასაც ნიშნავს. ეს პუბლიცისტური ჟანრი გულისხმობს კორესპონდენტისა და რესპონდენტის ნებაყოფლობით თანამშრომლობას.**

თუ ინტერვიუზე რესპონდენტის ხელმოწერა არ არის დადასტურებული, იგი ლეგიტიმურად ვერ მიიჩნევა. მსგავს შემთხვევაში ინტერვიუერს უფლება აქვს კორესპონდენტს უჩივლოს სათანადო ინსტანციაში, როგორც მისი ადამიანური უფლების ხელყოფა.

**იყო სნობიზმით შეპყრობილი თვითმფრინავის გამტაცებელი „ჯინსების თაობა“. აწ კი ავანსცენაზე გამოსულა „დაღდასმული თაობა“, რომელ დაღსაც ჭიპზეც რომ გასკდე, ვერაფრით ჩამოირეცხავ, ვერაფრით განიშორებ მაცილის ბეჭედს. დაღდასმული დარჩები აწ და მარადის!**



**ყველაფრის გაქანებული ტირაჟირება საზოგადოებაში დეზორიენტაციის შესატანად.**

გლობალიზაციის იდეოლოგები **ალან დალესი, ჯონ რატკლიფსი** გამარჯვებისათვის აუცილებლად კომპონენტად პრესის კონტროლს მიიჩნევდნენ ოქროსთან და მედიცინასთან ერთად. ოქრო იგივე ძალაუფლებაა. პრესის ფლობა – ამ სიმდიდრემდე მისვლის საშუალება. ხოლო მედიცინა – სამუდამოდ დადუმებული ოპონენტი. მოკლედ, სამართლებრივ სახელმწიფოში მედიის მუშაკის დისკრიმინაციული დამოკიდებულება ნებისმიერი მოქალაქის მიმართ ყველგან ექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ სასჯელს, **ჩვენგან გამოკლებით**!

### სოციალური ქსელი

**ინფორმაციული ბრძოლის არენა ფაქტობრივად სოციალურ ქსელს გადაელოცა.**

დათ, ქმნიდნენ ტრადიციულ ოჯახებს, კაცი კაცობდეს, ქალი ქალობდეს. ახალგაზრდობის ჩაცმულობა გამომწვევია. ტანსაცმლად – ფლეთები. რღვეულებიდან ბარძაყები ფითქინებენ. ტოტალური ლაშქრობებია ღმერთის წინააღმდეგ ტატუებით.

ხელყოფილია უფლის მიერ ხატად გამოცხადებული ადამიანის სახე, სხეული და იგი ეშმაკისთვისაა გადალოცვილი. აქ შეუნიღბავად არენაზეა გამოტანილი თანამედროვე ახალგაზრდობის ჭეშმარიტი შინაგანი პარტახი სამყარო, რომელიც დაღდასმულია! იყო უიმედობით გათანგული ჰემინგუეის **„დაღუპული თაობა“**; იყო სნობიზმით შეპყრობილი თვითმფრინავის გამტაცებელი **„ჯინსების თაობა“**. აწ კი ავანსცენაზე გამოსულა **„დაღდასმული თაობა“**, რომელ დაღსაც ჭიპზეც რომ გასკდე, ვერაფრით ჩამოირეცხავ, ვერაფრით განიშორებ მაცილის ბეჭედს. დაღდასმული დარჩები აწ და მარადის!

ბით არ უნდა იწვოდეს?! კიდევ ხმის ამოღებას ბედავს ჩაჩმას ხაროში ყელამდე მოყურყუტე ეს კალამგირი! გამომიქვეყნებია მე ჩემს ჟურნალ „კირბში“ (ოქროს საწმისი) გულანთებული 21 წლის ლიტერატორის, აწ ფილოლოგიის დოქტორ **ლევან ბებურიშვილის** წიგნი (სრულად) **„მწერლობის მოთვინიერება“ გრძელდება“**, რომლის მიხედვით **„თიბისი“ ბანკის** დაფინანსებელმა პრემია **„საბამ“** 60-მდე ახალგაზრდის სულიერი გარყვნა მოასწრო უკვე. **დეისაძეები, ბურჭულაძეები** და **ქარუმიძენი** მიჩუმდნენ თითქოს. მხოლოდ **აკა მორჩილაძემ** შეძლო რაღაც ფასეულის შექმნა, „ოგოლეს“ სახით და მორჩა, დანარჩენი სუროგატია, დარდუბალა.

***მწერლობა რომ დუმს, ამერიკის ელჩს პირში გაუჩრია ჩალასავით კულტურის სამინისტრო ჩვენი. იქ კოჰაბიტაციის ვერაგული მიდგო-***



მით ძველი ხელისუფლების კადრები დღემდეა შენარჩუნებული და ჩვენს ეკლესია-მონსტრებს მიუშენებენ კიდეც ლიფტებს და ჯანდაბა-დოზანას. მიდის „ვეფხისტყაოსნის“ პრიმიტიული განქიქებანი ვიღაც გომბიოთაგან და ამ გამოთაყვანებებს გულმოდგინედ ატირაჟებს განუკითხავი სოციალური ქსელი. არადა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ტყუილად როდი თქმულა! დიახაც, სწორედ მისი წყალობით ბილომდე გაიშიფრა ბულვარის ოპოზიციის რეალური სახე: სნობიზმა დაღუპა „ჭინსების თაობა“ და სნობიზმი ღუპავს „დაღდასმულსაც“.

ევროპისკენ მიიჩქარიან, თავიანთი ფარატინა დიპლომებით, რათა რეზერვაციის ხუხულებში დურთონ თავი. იქ მეტი გასაქანია ღამის ქოთნებით სირბილისათვის. ბოლოს და ბოლოს ქურდობის გამო თუ დააპატიმრეს რომელიმე, ნორმალური კვება ხომ გარანტირებული აქვთ?! მოკლედ, ევროპის მზე დიდი ხანია ჩაესვენა.

იგი იმდენად წარიყვანა სექსუალური დეზორიენტაციებით, რომ მისკენ ლტოლვა ეტნაში (ვულკანი იტალიაში) გადავარდნის ტოლფასია, დასტურ. ამისთანა ვითარებაში გასაგებია ამერიკის გეო-პოლიტიკური ვექტორი რისთვის იხრება რუსეთ-ჩინეთისკენ. ამერიკა მეტ სარგებელს მათში ხედავს და ევროპა ფაქტობრივად თამაშგარე მდგომარეობაში რჩება პოლიტიკურ არენაზე.

## „პროექტი „მიქინებული გოლიათი“

**ჩვენ, ქართველებმა, პლანეტარული მნიშვნელობის ეკოლოგიური პროექტი შევქმენით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად (საერთო ხელმძღვანელი აკად. როინ მეტრეველი).**

მსოფლიო აგონიაშია. „დიფ სთეიტმა“ წირვა გამოუყვანა მთელ კაცობრიობას, როგორც მატერიალურად, ისე ზნეობრივად, გამოფიტა და ლამის უვარგის საცხოვრებელ სივრცედ აქცია იგი. **მასკი** სერიოზულად ეძებს სასიცოცხლო პირობების პლანეტას ჩვენი ცივილიზაციის იქ გადასაყვანად **რეი ბრედბერის** მარსიანული მოთხრობების კვალობაზე. მაგრამ დიდებულ **ირაკლი აბაშიძეს** რომ ვუგდოთ ყური, **„სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე“**. დიახ,

**ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დგას მთელი კაცობრიობა თავისი საშვენის-საოცრებებით: გიზის პირამიდები, „ბიბლია“, „ილიადა“, „მოსე“, ჩინეთის დიდი კედელი, „მთვარის სონატა“. ასეთ დროს, ქართული გენის წყალობით შექმნილია უკვე დედამიწის გადარჩენის პროექტი: აკადემიკოს რამაზ გახოკიძის ბიოაქტივატორ „ბიორაგის“, ხე-მცენარე ფსტას, „Fistacia vera“-ს, ოლიგარქიული ფულადი რესურსებისა და მსოფლიო უდაბნოეთის კრებსითობით. ამ პროექტში მოვიაზრებთ ჩვენ კაცობრიობის გონებანათელ ხალხს: დონალდ ტრამპს, ილონს მასკს, სი ძინპინს, ბიძინა ივანიშვილს, ვიქტორ ორბანს, ილჰამ ალიევს, რობერტ ფიცოს, ირაკლი კობახიძეს, მიხეილ ყაველაშვილს...**

**ჯო უილსონის** „მეგობარი აქტის“ სერუასავით მგლური დამოკიდებულება გასაგებია ჩვენთვის, მაგრამ ამერიკის სახელმწიფო მდივნის, **მარკო რუბიოს** ვითომ ორაზროვანი პოზიციაც გარკვეულია. თუ სახელმწოფოებს შორის მეგობრობის ინსტრუმენტად **ინტერესი** სახელდება, ჩვენ ვთავაზობთ ამერიკას ქართულ პროექტ **„მიძინებულ გოლიათს“** უკრაინული მინერალების საპირწონედ. თუ ის მინერალები ძლივს მილიარდობით დოლარით განიზომება, პროექტი **„მიძინებული გოლიათი“** ასეულობით ტრილიონს აჭარბებს, ხოლო თავისი მნიშვნელობით წარღვნისგან კაცობრიობის გადასარჩენად ნოეს მიერ აგებულ ბიბლიურ კიდობანს ეფარდება.

პროექტი იმითაც არის საინტერესო, რომ იგი **„დიფ სთეითს“** არ განიხილავს, როგორც მოწინააღმდეგე მხარეს. ადამიანის ტვინი ორი ნახევარსფეროსგან შედგება. ერთის გადაწყვეტილებას ოპოზიციაში უდგას მეორე და ბევრი დავის შემდეგ გამოიტანება კომპრომისული აზრი ამა თუ იმ საკითხზე. ჩვენ **„დიფ სთეითს“** ვსახავთ, როგორც სამყაროისეულ უარყოფით ენერგიას, რომელიც კაცობრიობის წარმმართველმა პოზიტიურმა ძალებმა უნდა დაიქვემდებარონ. თანაქმედების პრინციპით, ერთ უღელს შეებმება სიკეთე და ბოროტება და ორივეს ძალისხმევით თანაბრად მოიხვნება საკაცობრიო პურის ველობი. ჩვენ მსგავს ქმედებას „შეუთავსებელთა შეთავსებასაც“ ვუწოდებთ, ნაწილისა და მთელის თანამშრომლობას. სხვანაირად ჩვენს ცივილიზაციას არსებობა არ უწერია.

**პროექტ „მიძინებულ გოლიათს“ საქართველო ერთგულების დასტურად სთავაზობს მისტერ ტრამპს, მით უფრო მისი შთამბეჭდავი მილოცვის შემდეგ ქართველი ხალხისადმი. დიახ, საქართველო ამ ძალისხმევის ერთ-ერთი მეწინავე ლოცმანი იქნება სიტყვით და საქმით. ამერიკული მხარე კი ამ პროექტით ტრამპის სადღეისო თუ სავარაუდო მომდევნო პრეზიდენტობის პერიოდში, ფაქტობრივად მოახერხებს მილიონობით ჰექტარი ნახევარუდაბნოსა და უდაბნოების ათვისებას. რაც კოლოსალურ მოგებას მოუტანს პროექტის თითოეულ წევრ ქვეყანას, განსაკუთრებით ამერიკის მოსახლეობას. თავად დედამიწას კი ახალ სიცოცხლეს მიანიჭებს და შემდგომ ჩვენი ცივილიზაციისთვის საჭირო არ იქნება საცხოვრებლად ვარგისი ეკოსისტემის ძიება მარსსა თუ სხვა პლანეტებზე ირმის ნახტომის გალაქტიკაში...**

# კიდევ ერთხელ დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი

**მოლოდინი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოპოზიცია წარმოაჩენდა ახალ სტრატეგიას, გააერთიანებდა პროტესტს და საზოგადოებას იმედის საფუძველს მისცემდა, ჩაიშალა. დღის განმავლობაში ხელისუფლებამ მშვიდობიანად აღნიშნა 26 მაისი – სამხედრო აღლუმისა და საზეიმო ღონისძიებების ფონზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ფრთხილად გაწერილ პოლიტიკურ გზავნილად: ძალაუფლება, მყარად, მათ ხელშია. ოპოზიციური ბლოკისთვის კი დღის მეორე ნახევარი გადამწყვეტი აღმოჩნდა, მაგრამ არა წარმატების, არამედ მორიგი დემორალიზაციის თვალსაზრისით.**

საღამოს რუსთაველის გამზირზე გამართული აქცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მომხსენებელი ყოფილი პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო, ვერ იქცა მასობრივი მობილიზაციის მიზეზად. შეკრებილთა რაოდენობა სერიოზულ კითხვებს აჩენს ოპოზიციის რეალურ პოტენციალზე. უფრო მეტიც, ზურაბიშვილის გამოსვლისას რამდენიმე მონაწილე უკმაყოფილებას ღიად გამოხატავდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ოპოზიციის ამომრჩეველში იმედგაცრუება მატულობს.

**ყოფილმა პრეზიდენტმა გამოსვლაში სამი მთავარი კომპონენტი წამოსწია, რაც, მისი თქმით, აუცილებელია ხელისუფლებაზე გამარჯვებისთვის: საზოგადოების ერთობა და პროტესტის მდგრადობა; დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერა; პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა, რომელსაც საზოგადოებრივი ნდობა ექნება.**

**„უნდა შეიქმნას პოლიტიკური ალტერნატივა, რომელიც ისარგებლებს თქვენი, ჩვენი და პარტნიორების ნდობით. ყველამ ვიცით, რომ ვერც ერთი პარტია ცალკე ვერაფერს ვერ მიაღწევს“**, – აღნიშნა **ზურაბიშვილმა**.

ეს გზავნილი მკაფიოდ უსვამს ხაზს იმ კრიზისს, რომელიც ოპოზიციის შიგნით არსებობს: უუნარობა საერთო დღის წესრიგის გარშემო შეთანხმებისკენ და ნდობის კრიზისი – როგორც ერთმანეთში, ისე ამომრჩეველთან ურთიერთობაში. 26 მაისის აქციის შედეგი არა მხოლოდ ორგანიზაციული ჩავარდნა იყო, ეს იყო გაფრთხილება ოპოზიციური სპექტრისთვის.

**ამ ეტაპზე დასავლეთის მხრიდან საქართველოს მთავრობის მიმართ კრიტიკა კვლავ ერთ-ერთ მთავარ მხარდაჭერად რჩება ოპოზიციისთვის. თუმცა, დასავლეთშიც ჩნდება კითხვები: რატომ ვერ ქმნის ოპოზიცია ალტერნატიულ ლიდერშიფს? რატომ ვერ აჩვენებს საარჩევნო მზადყოფნას? რატომ ვერ ახერხებს მოსახლეობის მობილიზაციას? ეს შეკითხვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როცა დასავლეთის გარკვეულ წრეებში იზრდება სურვილი სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე იმუშაონ. თუკი ოპოზიცია ვერ ასრულებს თავის როლს და ვერ ქმნის საზოგადოებრივ ნდობაზე დაფუძნებულ ცენტრს, დასავლეთის მხარდაჭერაც შესაძლოა უფრო პრაგმატული გახდეს – მათ შორის, მმართველ პარტიასთან დიალოგისკენ მოწოდების გზით.**

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან აცხადებს, რომ ოპოზიციისთვის 26 მაისი შეიძლებოდა ყოფილიყო გაერთიანების, თვითრეაბილიტაციისა და სტრატეგიული გეგმის დაწყების დღე. რეალურად კი, ის იქცა კიდევ ერთ პოლიტიკურ ჩავარდნად, რაც უმძიმეს კითხვებს აჩენს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე. მისივე თქმით, უკვე ჩნდება ეჭვი, საერთოდ არის კი ოპოზიციის მიზანი გამარჯვება და რა მიზანს ემსახურება მათი მოქმედება?

საყვარელიძის შეფასებით, მათი ქმედება შეიძლება განიმარტოს როგორც მცდელობა, არ დაკარგონ დასავლეთის ნდობა და შექმნან ილუზია, თითქოს პოლიტიკური ბრძოლა გრძელდება.

**„მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ოპოზიციას მხარდამჭერთა რაოდენობა უნდა გაეზარდა, პირიქით მოხდა – მათმა ქცევამ და არასწორმა ტაქტიკამ მათივე მხარდამჭერებიც კი დააფრთხო. აშკარად ერთმანეთში დაპირისპირებულები არიან და ამას საჯაროდაც აღარ ერიდებიან.**

**პრაქტიკულად, თუ „ოცნება“ მიუღებელია საზოგადოების ნაწილისთვის, ოპოზიციის მიუღებლობა კიდევ უფრო მეტ ამომრჩეველში გაჩნდა. ანუ ხელისუფლებაზე მეტად, საბოლოოდ, ოპოზიციის ქცევა აღიზიანებს ხალხს. თან ამ ფონზე ხალხთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ოპოზიციასა და საზოგადოებას შორის დიდი უფსკრული გაჩნდა. მათ ამომრჩეველში ნიჰილიზმი ყოველდღიურად იზრდება. 26 მაისი კი შესაძლოა მათი დემორალიზაციის ბოლო დღე აღმოჩნდეს. ეს დაპირისპირება და დაქსაქსულობა 26 მაისს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. მიუხედავად ამხელა ანონსისა და მოლოდინისა, რუსთაველზე ხალხი არ მივიდა. ის რაოდენობა, რაც იქ იყო, ძალიან სუსტად და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფად წარმოაჩენს ოპოზიციას“**, – აღნიშნავს **საყვარელიძე**.

მისივე თქმით, გამორიცხულია, რომ საზოგადოებამ ხელისუფლებაში დააბრუნოს იგივე სახეები, რომლებიც ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან ასოცირდებიან.

**„მართალია, ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ პოზიციას, მაგრამ ეჭვები აშკარად ჩანს. დიდწილად ტექსტები შერბილებული და შეცვლილია. ეს რიტორიკა 26 მაისის შემდეგ კიდევ უფრო შეიცვლება. ამ ცვლილებებში უკვე სალომე ზურაბიშვილიც აღარ ფიგურირებს. ოპოზიციასთან დიალოგისკენ მოგვიწოდებენ და კონკრეტულად სამ ლიდერს ახსენებენ, მაგრამ ზურაბიშვილთან დიალოგზე საუბარი არ არის. მეჩვენება, რომ დასავლეთმა ზურაბიშვილი უკვე პენსიაზე გაუშვა. ქართველებმა კი დიდი ხანია, რაც გაუშვეს“**, – აცხადებს **საყვარელიძე**.

მისივე თქმით, ხელისუფლების სიმტკიცე, სტაბილურობა და გამძლეობა შესაძლოა გახდეს საფუძველი იმისა, რომ დასავლეთი იძულებული გახდეს ხელისუფლებასთან დიალოგი დაიწყოს.

**„სიტუაცია დასავლეთშიც იცვლება. საქართველოსადმი გაჯიუტება ძველი მეთოდებით მათთვისაც აღარ არის მომგებიანი, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც ოპოზიციამ სრული პოლიტიკური კრახი განიცადა“**, – ასკვნის **საყვარელიძე**.

**ლიკა ბერიკაშვილი**





კარნახით გრძნობდა, რომ ფუყე ნიადაგზე იდგა, ამიტომ ვერ პოულობდა მომხდარი ფაქტის გამართლების რაიმე იურიდიულ ძალას.

– საავადმყოფოს მთავარი ექიმი ადასტურებს, რომ პაციენტი არ შეეფერება მის პროფილს, მაგრამ ვერ იყენებს თავის უფლებას იმის გამო, რომ ფოთის პროკურატურას ეს ხელს არ აძლევს. თქვენი როლი?

– ჩემი როლი სხვა შემთხვევაში უკანონობის აღმკვეთი იქნებოდა, მაგრამ "მეგრელთა საქმეს" უშუალოდ რუხაძე ხელმძღვანელობს... ფოთის პროკურატურას დავალებული აქვს მიაღწიოს პატიმრის მიმართ წაყენებული ბრალდების აღიარებას. როცა აღიარების რეალური სარჩული არ არსებობს, მიმართავენ უკიდურეს ზომას, მათ შორის სულიერი შერყევის ცდას. ასეთ დროს პიროვნება კარგავს ცნობიერების უნარს და ყველაფერზე შეგიძლია ხელი მოაწერინო.

– ნაომარ კაცს აგიჟებენ, სად ვართ, ფაშისტურ გერმანიაში?

...პროკურორი ცხვირსახოცით ოფლს იწმუშაკი ედუარდ შევარდნაძე მივლინებით ჩავიდა ზუგდიდში. სოფელ ცაიშის საშუალო სკოლაში ყოფნისას იგი შეხვედრია ჩემს მეუღლეს, პედაგოგ თინა იოსავას, რომელსაც ქუთაისის პედინსტიტუტიდან იცნობდა. ბატონ ედუარდს უკითხავს, როგორ მოხვდი ამ სოფელშიო და როცა გაუგია, რომ „მეგრელთა საქმის" გამო დაპატიმრებული ქმრის მშობლებთან ჩამოვიდა ჩხოროწყუდან ბავშვებიანად და აქ სკოლაში მოეწყო სამუშაოდ, შეწუხებულს უთქვამს, მოგონილი საქმეა, არაფერი გამოუვათ, მოითმინეთ, ყველაფერი კარგად დამთავრდებაო. ეს ნათქვამი იყო არა უბრალოდ ქალის სანუგეშოდ, არამედ რწმენით და არსებითად. ადვილი არ იყო მაშინ პასუხიმგებელი მუშაკის მიერ ამ რწმენის გამოხატვა და იმედიანი სიტყვების თქმა რეპრესირებული ოჯახისადმი".

* * *

სტალინი თვალს ადევნებდა საქმის მსვლელობას. მას სისტემატურად ეგზავნებოდა დაკითხვის ოქმები (მარტო 1952 წლის

*ვად, გამოძიებას დასახული აქვს ამოცანა, გამოავლინოს ბარამიას ჯგუფის წევრები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში და საქართველოს ალკკ-ში.*

*ამჟამად გამოძიება მუშაობს დაპატიმრებულთა დანაშაულებრივი საქმიანობის დოკუმენტაციაზე და აპირებს დაიწყოს დაპატიმრებულთა და მოწმეთა დაპირისპირება, რათა დააზუსტოს ზოგიერთი ვითარება, აგრეთვე, მიაღწიოს ა. ნ. რაფავას, ვ. ი. შონიას და კ. გ. ჭიჭინაძის უფრო გულახდილ აღიარებას, რომლებიც ჯერ კიდევ უარყოფენ ნაციონალისტური ჯგუფის წევრობას.*

*გთხოვთ, საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს*

*– ნება დართოთ, კურსი აიღოს გამოძიების 1952 წლის 1 ივლისისათვის დამთავრებაზე. გამოძიების დამთავრების აუცილებლობა იმ გარემოებითაც არის გამოწვეული, რომ ზოგიერთი ძირითადი ბრალდებულის (ბარამია, შონია, ჭიჭინაძე) ჯანმრთელობა უარესდება, განსაკუთრებით – ბარამიასი.*

*– ნება დართოთ, მოამზადოს საქმე სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის საგანგებო საკრებულოს დახურულ სხდომაზე მოსასმენად, ამ საქმის 2-3 ჯგუფად გაყოფით.*

ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

### უსამართლობის თარეში

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, მეცნიერმა და მწერალმა, აწ უკვე გარდაცვლილმა აკაკი თოფურიამ მიამბო, თუ რა ფათერაკი გადახდა მაშინ მის ძმას (ეს ამბავი ბატონ აკაკის 1996 წელს გამოცემულ მოგონებათა წიგნშიც „სინდისის ღმერთების ბარიკადებზე" აქვს შეტანილი):**

**„ფოთიდან შემაშფოთებელი ამბავი შემატყობინეს. „მეგრელთა საქმესთან" დაკავშირებით დაპატიმრებული ფოთის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნის გრიგოლ კოკაიას კვალდაკვალ პასუხისგებაში მიუციათ ჩემი უფროსი ძმა ვანო, რომელიც ადრე ქალაქკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა, იქიდან კი, როგორც ტექნიკოსი, ნაბადის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს. სასამართლო პროცესზე, მტკიცებულებების უქონლობის გამო, ვანოს საქმე კვლავ საქალაქო პროკურატურაში უნდა დაებრუნებინათ, პატიმარი კი ქუთაისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაუყვანიათ „მკურნალობისათვის".**

**ქუთაისში ჩავედი ავადმყოფი ძმის სანახავად. ჩემი დანახვისთანავე დასუსტებულმა და ღონემიხდილმა გამწარებით შემომჩივლა:**

**– რა მინდა მე აქ, რატომ მომიყვანეს? რას მიგონებენ, რას მწამებენ. კოკაიასთან ერთად თურქეთში დადიოდი წყალქვეშა გემითო. ტყუილი უნდათ მათქმევინონ, ვინ გვყოლია პროკურორებად და მოსამართლეებად, ვინ ყოფილან? მიშველე, მიხსენი გიჟებისაგან. ისევ სასამართლოში, ხალხის წინაშე დამაყენონ. იქ გავცემ მაგათ პასუხს.**

**იგი შფოთავდა, ღელავდა, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა. ნაომარი კაცი თავის ხვედრში დიდ გაუგებრობას ხედავდა, მოსალოდნელ რაღაც უბედურებას გრძნობდა. ამიტომ ტიროდა და ცახცახებდა.**

**მივედი და მთავარ ექიმს ვკითხე: – ხომ ხედავთ, სავსებით ნორმალური ადამიანია, არასწორი დიაგნოზით არის მოხვედრილი თქვენთან. არ შეგეძლოთ უკან დაგებრუნებინათ?**

**– ეს აღემატება ჩემს კომპეტენციას. პაციენტი პროკურორის კონტროლზეა. მათ გარეშე უფლება არ მაქვს, – მიპასუხა მან.**

**– სწორი დიაგნოზის დასმის უფლებას თქვენ პროკურორისგან იღებთ?**

**– არა, მაგრამ, როცა მათი ზედამხედველობის ქვეშაა, ერთმანეთთან ვათანხმებთ.**

**იმავე დღეს ქუთაისის ოლქის პროკურორის შიო რეხვიაშვილის კაბინეტში ერთი საათი გრძელდებოდა ჩვენი საუბარი ამ თემაზე. ერთი მხრივ, იგი განიცდიდა ზემოდან დაწოლის სიმძიმეს, მეორე მხრივ, შინაგანი სინდისის მენდდა. კრინტი არ დაუძრავს. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო და ფოთის პროკურორს დაელაპარაკა:**

**– ქუთაისიდან დააბრუნებენ თქვენს მიერ დანაშაულებრივად საგიჟეთში მოთავსებულ ბრალდებულს, სასამართლო დაუნიშნეთ და შედეგი მაცნობეთ.**

**სანამ „მეგრელთა საქმე" დამთავრდებოდა, ჩემი ძმა უკვე განთავისუფლებული იყო ციხიდან, მაგრამ მამა გადაიყოლა ჯავრმა", – ოხვრით დაასრულა ბატონმა აკაკიმ.**

ასეთი „ბედნიერი დასასრული" იშვიათი იყო. ყველას როდი შეხვდა შიო რეხვიაშვილივით პატიოსანი და მამაცი პროკურორი.

ფართოდ იჩინა თავი ადამიანთა მანკიერმა თვისებებმა, ათასგვარმა ჭორმა, მითქმა-მოთქმამ სამეგრელოს კუთხის წარმომადგენელთა დასაბეზღებლად და სათრევად. გავრცელებული იყო ასეთი კალამბური: **„ამოსულა ბუჩქთან ია, რა გინდოდა შენ აქაო, საწყალს ყლორტებს ძირში სჭრიან, უმწარებენ სააქაოს"** (მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ ია აქ მეგრელის, უფრო სწორად, მეგრული გვარების ია-ზე დაბოლოების მინიშნებაა). პარტია და უშიშროების სამსახური „რკინის დისციპლინას" ამყარებდნენ „მტრული ელემენტების" გასანადგურებლად...

მოხშირებული დაპატიმრებები შიშსა და მიუსაფრობის გრძნობას იწვევდა ხალხში. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ სჯეროდა „მეგრელთა საქმისა", მტკივნეულად განიცდიდა, ცილისწამებად და პროვოკაციად მიაჩნდა.

ამასთან დაკავშირებით ბატონი მამანტი პაჭკორია იგონებს:

**„1952 წლის შემოდგომაზე კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ახალგაზრდა**

16 აპრილიდან 3 სექტემბრამდე სხვადასხვა პირის 9 დაკითხვის ოქმი გაეგზავნა), ინფორმაციები გამოძიების პროცესის მიმდინარეობაზე.

გარკვეულ მითითებებსაც იძლეოდა. ოღონდ, "მეგრელთა საქმის" საგამოძიებო მასალების ტომეულებში არ ჩანს სტალინის ხელმოწერილი რაიმე დოკუმენტი, რაც იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ წერილობითი მითითება მას, ალბათ, საერთოდ არ გაუცია.

მკითხველს გავაცნობ სტალინისადმი მიწერილ ერთ წერილს იმის დასტურად, რომ ბელადი არა თუ ცხოვლად იყო დაინტერესებული "მეგრელთა საქმის" გამოძიების მიმდინარეობით, არამედ, იმასაც კი უთანხმებდნენ, თუ რა მიმართულებით წარემართათ გამოძიება.

***„ამხ. ი. სტალინს***

***გამოძიება მტრული მეგრულ-ნაციონალისტური ჯგუფის საქმეზე უკვე 6 თვეზე მეტია გრძელდება. საქმის გამო დაპატიმრებულია 26 კაცი ხელმძღვანელი პარტიულ-საბჭოთა აქტივიდან.***

***გამოძიების მსვლელობა თქვენ გხსენდებოდათ დაკითხვების ცალკეული ოქმებით. საქმეზე დაპატიმრებულებმა აღიარეს თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობა, აგრეთვე, დაასახელეს მათ მიერ გადაბირებული პირები.***

***ვაჯამებთ რა გამოძიების შედეგებს, მიგვაჩნია, რომ ბარამიას საქმეზე დაპატიმრებულთა ძირითადი დანაშაულებრივი კავშირები გახსნილია. დაპატიმრებულთა შემდგომი დაკითხვები მოწმობს, რომ საეჭვოა დამატებით გამოვლინდნენ პირები, რომლებიც დაპატიმრებას ექვემდებარებიან. ამის მიუხედაობ წინადადების მიზანშეწონილობა იმითაც არის განპირობებული, რომ დაპატიმრებულმა მ. ბარამიამ და სხვებმა ჩვენება არ მისცეს თავიანთ კავშირზე ე. გეგეჭკორის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან.***

***გთხოვთ მითითებებს.***

***საქ. კპ(ბ) ცკ-ის მდივანი ა.მგელაძე***

***საქ. სსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნ. რუხაძე***

***1952 წლის მაისი (რიცხვი მითითებული არ არის).***

ეს წერილი მრავალმხრივად არის საინტერესო, ჯერ ერთი იმით, რომ თვალნათლივ გვიჩვენებს, თუ რაოდენ ორგანულად არის სტალინი ჩართული გამოძიების მსვლელობაში: მას უთანხმებენ, თუ როდის დაამთავრონ გამოძიება, უფრო სწორად, ნებართვას სთხოვდნენ საერთოდ დაამთავრონ ეს უპერსპექტივო გამოძიება, რადგან, საეჭვოა დამატებით გამოვლინდნენ პირები, რომლებიც „დაპატიმრებას ექვემდებარებიან", დაპატიმრებულებმა ჩვენება არ მისცეს თავიანთ კავშირზე ე. გეგეჭკორის ჯაშუშურ ორგანიზაციასთან და, ალბათ, არც არასოდეს მისცემენ. ჰოდა, რაღა აზრი აქვს გამოძიების გაგრძელებას?

მართალია, ბელადს აღუთქვამენ მეგრელი ნაციონალისტების გამოვლენას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებსა დ კომკავშირში, მაგრამ მით უფრო თავს იმშვიდებენ, რადგან მშვენივრად უწყიან, რომ გენერალ კონსტანტინე ბზიავასა და მამია ზოდელავას დაპატიმრებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო.

ახლა ყველაზე ღირსეული გამოსავალი გამოძიების დასრულება და საქმის სასამართლოსთვის გადაცემაა: საბჭოთა ტრადიციისამებრ, სასამართლო ისე განსჯის, როგორც



საქართველოს კომკავშირის აქტივი (შუაში საქ. ალკკ ცკ-ის პირველი მდივანი მამია ზოდელავა). 1940-იანი წლების დასასრული.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
„სრ" №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-68, 71-72,74



სკპ (ბ) ცკ-ის ინსპექტორი ალიოშა მირცხულავა, აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კირილე ბეჭვაია და საქ. კპ (ბ) ცკ-ის მდივანი ალექსანდრე თოფურია

სახელმწიფო უშიშროების გამომძიებელთა კოჭლი დასკვნები უკარნახებს.

მაგრამ წერილის ავტორებს იმედი არ გაუმართლდათ. ეტყობა (დოკუმენტებში ეს არ ჩანს), ბელადმა სულმოკლეებს დაუცაცხანა და მათაც გააგრძელეს ქვიშის თოკის გრეხვა. ძიება ვერც 1 ივლისისთვის დასრულდა და ვერც საერთოდ 1952 წელს. იგი სტალინის გარდაცვალებამდე, 1953 წლის მარტის პირველ რიცხვებამდე გრძელდებოდა. მას საერთოდ არ ეწერა დასრულება.

* * *

**საქართველოს ახალ ხელმძღვანელს აკაკი მგელაძეს მოქმედების წყურვილი კლავს. მან ხომ ბელადს აღუთქვა, რომ ახალ-ახალ შეთქმულებებს აღმოაჩენდა, განსაკუთრებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქსა და საქართველოს კომკავშირში.**

უპირველეს ყოვლისა, სცადა თავიდან აეცილებინა სტალინის რისხვა „საქმის" გამოძიების წარუმატებლობის გამო და მთელი პასუხისმგებლობა ნ. რუხაძეს დააკისრა. 13 მაისს მან წერილი გაუგზავნა ბელადს, რომელშიც პირდაპირ ადანაშაულებს ნ. რუხაძეს. ინფორმაციებს მიმალავს ბარამიას ჯგუფის ჯერ კიდევ თავისუფალ წევრებზეო. წერილში ხაზგასმულია რუხაძის საეჭვო კავშირი და მეგობრობა ცკ-ის მდივანთან, ყოფილ ფინანსთა მინისტრ რაფიელ კვირკველიასთან. ამასთან გამჭვირვალედ არის მინიშნებული... შეიძლება, თვით რუხაძეც საიდუმლოდ ბარამიას ჯგუფს ეკუთვნოდესო; მითითებულია, რომ რუხაძემ, ბარამიასთან შეთანხმებით, გადაწყვიტა დაპატიმრებები მხოლოდ იმ პირებით შემოეფარგლა, რომლებიც უკვე იმყოფებოდნენ ძიებაში. თუმცა, თვით წერილში, როგორც „მეგრელთა საქმის" სხვა დოკუმენტებში, ბერიას სახელი აშკარად არ ფიგურირებდა, სტალინი უნდა მიმხვდარიყო, რომ რუხაძის ცდის სულისჩამდგმელად, დაემუხრუჭებინა საქმე, თვით ყოვლისშემძლე ლავრენტი მოიაზრებოდა...

1952 წლის 26 მაისს საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის IX პლენუმი გაიმართა. დღის წესრიგში ერთობ შთამბეჭდავი საკითხი იდგა: „სკპ(ბ) ცკ-ის 27 მარტის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფის შესახებ კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი ქონების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში". მოხსენებით ცეკას მდივანი **ვლადიმერ ცხოვრებაშვილი** გამოვიდა.

– საქართველოს კომპარტიასა და მის ცენტრალურ კომიტეტში დიდი ხნის მანძილზე დაუსჯელად მოქმედ მოღალატეთა ჯგუფს, – კარგად გაწალდულ გზას მიჰყვა მომხსენებელი, – განზრახული ჰქონდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და მოემზადებინა საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია საქართველოში. ამ დროს იმედოვნებდნენ უცხოელი იმპერიალისტების მხრიდან დახმარებას...

პლენუმზე ითქვა, რომ 15 აპრილიდან 10 მაისამდე პირველად პარტიულ ორგანიზაციებში დიდი აღმავლობით, ორგანიზებულად განიხილეს საქ. კპ(ბ) ცკ-ის დადგენილება „საქართველოს კომპარტიაში საქმის მდგომარეობის შესახებ". კრება გამართულა 9213 ორგანიზაციაში, დასწრებია 149 120 კომუნისტი, ანუ კომუნისტთა საერთო რაოდენობის 87 პროცენტი, კამათში კი გამოსულა 41596 კაცი – 34 პროცენტი.

პლენუმის მონაწილეებს გააცნეს „ცინცხალი" ფაქტები: თურმე ზუგდიდის რაიკომის ყოფილი მდივანი გრიგოლ ჩაჩიბაია კოლმეურნეობის თავმჯდომარეებისგან სისტემატურად იღებდა მსხვილ თანხებს და პროდუქტებს; გეგეჭკორის რაიკომის ყოფილ მეორე მდივანს ვასილ ბეჭვაიას უფასოდ მიჰქონდა ხე-ტყე, პროდუქტები და სხვა საქონელი; ანტიპარტიული ჯგუფის მფარველობის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს სუსტი კონტროლის შედეგად, ზუგდიდის, ხობის, გეგეჭკორისა და სხვა რაიონებში სოციალისტური შრომის გმირის წოდებას დაუმსახურებლად იღებდნენ კოლმეურნეები და რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

ილაპარაკეს მიწერებზე, მოტყუებაზე საერთოდ რესპუბლიკაში, დასახელდა საინტერესო ფაქტები.

ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს მცხოვრებმა იოსეფიდიმ, რომელსაც ეზოში მხოლოდ 4 ძირი ჩაის ბუჩქი ედგა, 1951 წელს ანაზღაურებად მიიღო 14 ათასი მანეთი, თითქოს კარმიდამოდან ჩააბარა 1401 კგ ჩაის ფოთოლი.

1951 წელს შრომადღეების მინიმუმი ვერ გამოიმუშავა 140356 კაცმა, ანუ შრომისუნარიან კოლმეურნეთა 23, 6 პროცენტმა. აქედან:

**ზუგდიდში – 5262 კაცმა (34,6%)**
**თერჯოლაში – 2466-მა (45,6%)**
**წულუკიძეში – 1847-მა (32,6%)**
**გურჯაანში – 5575-მა (43,5%)**
**საგარეჯოში – 2885-მა (40,8%)**
**ხაშურში – 3876-მა (40,0%)**

რესპუბლიკაში საერთოდ არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებია 24917 კაცს.

არადა, ამ რაიონებში კოლმეურნეობები მუშებს ქირაობდნენ და დიდძალ თანხას უხდიდნენ, რაიკომის მდივნები კი თავს იმართლებდნენ, სასოფლო სამუშაოებს იმიტომ ვაგვიანებთ, რომ მუშახელი არ გვყოფნისო.

ეს მრავალმხრივ საინტერესო სტატისტიკაა. უპირველეს ყოვლისა, თვალნათლივია, რომ საკოლმეურნეო შრომიდან გაქცევა, მიწერა და მოტყუება საყოველთაო მოვლენაა, მეგრული ნაციონალიზმი" არაფერ შუაშია. თუ დავუკვირდებით, ზუგდიდის რაიონი რესპუბლიკის სხვა რეგიონებს სჯობს კიდეც. ამდენად იგი თვალსაჩინოებისთვის არ გამოდგებოდა. პლენუმმა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სისხლის ღვარი დააყენა:

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ცეკას მდივნობიდან და ბიუროს წევრობიდან გაათავისუფლეს რაფიელ კვირკველია (ეს „სხვა სამუშაო" აგარის შაქრის ქარხნის დირექტორობა იყო...დროებით, დაპატიმრებამდე. სხვათა შორის, რაფიელ კვირკველია კანდიდ ჩარკვიანმა 1951 წლის დეკემბრის პლენუმზე ცეკას ბიუროს წევრად აირჩია და ამით ერთგვარი ლოიალობა გამოიჩინა მეგრელთა მიმართ. ვერ მიხვდა, რომ, როგორც მეგრელი, რ. კვირკველიაც „მტერი" იქნებოდა, აკაკი მგელაძემ კი ეს „მტერი" უმალ გაშიფრა და სხვებს მიუსვა გვერდით).

საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობიდან გაირიცხნენ **გრიგოლ კოკაია, კირილე ბეჭვაია, ვალერიან გუგუნავა და გრიგოლ კარანაძე**, როგორც პარტიიდან გარიცხულები და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრობის კანდიდატობიდან **გაირიცხნენ ნინა ჟვანია** და **ანტიფო ჭეჟია, ნ. ჟვანია** – როგორც პარტიიდან გარიცხული.

საქ. კპ(ბ) ცკ-ის სარევიზიო კომისიის წინაშე დაისვა საკითხი **მიხეილ კვარაცხელიას** ამ კომისიიდან გარიცხვის შესახებ, როგორც პარტიიდან გაგდებულის და სისხლის სამართალში მიცემულისა.

(გაგრძელება იქნება)

პატრიარქი – დიასპორას:

# თქვენ საქართველოს განუყოფელი ნაწილი ხართ!



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დიასპორას მიმართავს. წერილს საქართველოს საპატრიარქო აქვეყნებს.

**„ქრისტეს მიერ საყვარელო დანო და ძმანო, ჩემო სულიერო შვილებო,**

**ღვთის წყალობით, კვლავ დადგა დღე ჩვენი ყოველწლიური შეხვედრისა.**

**მე არაერთხელ მომიმართავს თქვენთვის და ახლა მინდა, თქვენ მომმართოთ წერილობით და მითხრათ, რა სურვილები და წინადადებები გაქვთ ისეთი, რომელიც არის რეალური, ხელს შეუწყობს თქვენი და თქვენი შვილების მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს საქართველოსთან თქვენს დაახლოებას.**

**იცოდეთ, თქვენ საქართველოს განუყოფელი ნაწილი და უცხოეთში ჩვენი ქვეყნის ელჩები ხართ. ამდენად, დიდია თქვენი პასუხისმგებლობა.**

**გლოცავთ და გისურვებთ რწმენის სიმტკიცეს, მოყვასის სიყვარულს, სამშობლოს ერთგულებას, წარმატებებს თქვენს პირად ცხოვრებაში და სიმშვიდესა და სიხარულს ოჯახში. ღმერთმა დალოცოს თქვენი მყოფობის ადგილი, უცხოეთში მცხოვრები ყველა ქართველი და სრულიად საქართველო"**, – ნათქვამია წერილში.

მიხეილ ყაველაშვილი:

# დიასპორასთან ინტეგრაცია ჩვენი მთავარი პრიორიტეტია

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმს – „დიასპორა სამშობლოსათვის – ტრადიცია, ერთიანობა, განვითარება" დაესწრო.**



მიხეილ ყაველაშვილმა დამსწრე საზოგადოებას დიასპორის დღე მიულოცა და განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, რომლის ძალისხმევაც მიმართულია დიასპორის ახალ თაობაში ეროვნული იდენტობისა და მშობლიური ენის შენარჩუნებისაკენ, ასევე საქართველოსა და დიასპორის ადგილსამყოფელ ქვეყნებს შორის ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავებისაკენ.

**„თქვენ ხართ საქართველოს სახელმწიფოს ელჩები, რომელთაც ქვეყნის სახელი გაგაქვთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში – გამუდმებით ზრუნავთ საქართველოს ცნობადობის ამაღლების, მისი ისტორიის, მიღწევებისა და ფასეულობების პოპულარიზაციისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარმოსაჩენად. მე თავად ვიყავი დიასპორის წარმომადგენელი 18 წელი და ვიცი, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული საზღვარგარეთ ცხოვრება, როდესაც გყავს ოჯახი, შვილები, რომლებიც განსხვავებულ ენაზე სწავლობენ. განსაკუთრებით რთულია, ახალგაზრდები აზიარო ჩვენს ქართულ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებს, მაგრამ მდიდარი ერი ვართ და შეგვწევს ამის ძალა"**, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ ყაველაშვილმა საზღვარგარეთ არსებულ მართლმადიდებელ ეპარქიებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ **წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით უცხოეთში დაფუძნებული ეკლესიები ქართული ემიგრაციის გაერთიანების ადგილად იქცა.**

დასასრულს, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ **ქვეყნის წინსვლისათვის, სხვადასხვა პროცესში, დიასპორის მაქსიმალურად ინტეგრირების უზრუნველყოფა ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და არსებული გამოწვევების დასაძლევად, სამუშაო პროცესებში თავადაც აქტიურად ჩაერთვება.**

ირაკლი კობახიძე:

# დაბრუნდით საქართველოში, ღირსეული სამსახურები გექნებათ!

**ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება, სადაც მას ცხოვრების სათანადო პირობები და ღირსეული სამსახური უნდა დავახვედროთ,** – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.



პრემიერის თქმით, შარშან სამშობლოში დაბრუნებული თანამოქალაქეების რაოდენობამ ქვეყნიდან გასულებისას მცირედით, მაგრამ მაინც გადააჭარბა.

**„საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენ თანამემამულეები მთელ მსოფლიოს აცნობენ საქართველოს უნიკალურობას და ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს კულტურას. შესაბამისად, მათი როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში ძალიან დიდია. მოხარული ვარ, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი იაზრებს ამ მისიის მნიშვნელობას.**

**ამ ყველაფრის პარალელურად, ჩვენი უმთავრესი საზრუნავი უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების საქართველოში დაბრუნება უნდა იყოს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა მიიღოს სამშობლოში დაბრუნების გადაწყვეტილება, სადაც მათ ცხოვრების სათანადო პირობები და ღირსეული სამსახური უნდა დავახვედროთ. მოხარული ვარ, რომ შარშან სამშობლოში დაბრუნებული თანამოქალაქეების რაოდენობამ ქვეყნიდან გასულებისას მცირედით, მაგრამ გადააჭარბა. დიდი იმედი გვაქვს, რომ ეკონომიკის სწრაფ ზრდასთან ერთად, სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტების რიცხვი წლიდან წლამდე მოიმატებს. ეს არის ჩვენი უმთავრესი ეროვნული მისია, ამოცანა, რომ რაც შეიძლება მეტი ჩვენი თანამემამულე წლიდან წლამდე დავაბრუნოთ სამშობლოში"**, – განაცხადა პრემიერმა.



# სალომეს აბდაუბდა „პლატფორმა“ და...

## ფაქტები წყვეტენ ყველაფერს!



**დამოუკიდებელმა და თავმოყვარეობაშენარჩუნებულმა საქართველომ დამოუკიდებლობის დღე ღირსეულად აღნიშნა და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა როგორც დესტრუქციული ოპოზიცია, ისე მისი მფარველი ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი უცხოელი მეგობრები. როცა საზეიმო თარიღზე ვსაუბრობთ, თვალი უნდა გადავავლოთ მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს, რაც თვალნათლივ დაგვარწმუნებს მეორე მხარის პოლიტიკურ უმწეობაში.**

მაშ ასე – **ფაქტი პირველი:** ქალივით გაკაპასებული, მაგრამ სინამდვილეში არაფრის მაქნისი „ვოზდუხა“ **გედი ფოფხაძის** წამოკნავლება რომ დაგჭირდება რამდენიმე ათეულ მომიტინგეში მუხტის ასაწევად, ვფიქრობ, დროა კაპიტულაცია გამოაცხადო და ვითარებას ვერც მსხვერპლშეწირვისაკენ ზოგადი მოწოდება ცვლის და ვერც, მით უმეტეს, საკუთარი ფუყე პერსონისგან თანამედროვე ცოტნე დადიანის მსგავსი, სამშობლოზე და თანამებრძოლებზე თავშეწირული ისტორიული პერსონაჟის გამოძერწვის უზადრუკი მცდელობა.

ამ ფონზე კიდევ უფრო კომიკურად გამოიყურება ნაციონალური სინდიკატის მწვერვალიდან დაქანებული **ლევან ხაბეიშვილის** მორიგი „გაბლატავება“ – ძალას ძალით ვუპასუხოთო, რადგან უკვე არაერთგზის გალახული პიარ-მეამბოხის უკიდეგანო შესაძლებლობების, მგონი, თვით მისივე კუნთებით მონუსხულ თანაპარტიელებსაც აღარ უნდა სჯეროდეთ.

რაც შეეხება **მეორე ფაქტს**, მისი ანტიგმირები როგორი „ვაჟკაცებიც“ არიან, აქამდეც კარგად ვიცოდით, მაგრამ ხომ გაგიგონიათ – გამეორება ცოდნის დედააო. ჰოდა, დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობისთვის კანონით განსაზღვრული სასჯელი, კეთილი ინებონ და, უდრტვინველად მოიხადონ ტელემონანიებით სახელგატეხილმა ნაცრეჟიმის ერთ დროს რკინის მინისტრმა **ირაკლი ოქრუაშვილმა** და ოკუპანტთა წინაშე სახალხოდ შარვალჩახდილმა **ზურაბ (გირჩი) ჯაფარიძემ.** დღევანდელი ქართული, იგივე ევროციხე ხომ ვარდოსანთა რეჟიმისდროინდელი „კონცლაგერისგან“ განსხვავებით, სანატორიუმად გამოიყურება. დავძენთ, რომ რიგში მელია-გვარამიას დუეტი დგას, რომელსაც რამდენიმე დღეში ეწურება გირაოს გადასახდელი ვადა და, თუ ტრადიციისამებრ უკანასკნელ მომენტში არ ჩაისველეს, ჯერჯერობით კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ და გეზი საკნისკენ აქვთ აღებული.

**მესამე ფაქტის** რეფრენად ოპოარხზე გაჟღერებული დასკვნა გამოდგება – ნაღდი ქართული ელიტა ლისზე „თბილისი ჯორჯიან ეარზეა“ შეკრებილიო, სადაც, როგორც წინა წლებში, ამჯერადაც ნიაღვარივით მოედინებოდა ქართული ოცნებისა და, განსაკუთრებით – დედა ეკლესიის საწინააღმდეგო მელოდიები თუ სტრიქონები. საკმარისი იყო, **ნინო სუხიშვილს** სცენიდან საღვთო ტრიადის – ენის, მამულისა და სარწმუნოების – სადიდებელი აზრი გამოეთქვა, რომ მაშინვე დაიტეხა თავს დამსწრე „ვიპ“ საზოგადოებისა და სოციალური ქსელების რისხვა. რას ვიზამთ, ასეთია დღევანდელი ჩვენებური დემოკრატია – ვინც სხვანაირად ფიქრობს, ჩვენი მტერია!

და აი, მივადექით **მეოთხე ფაქტს:** მას შემდეგ, რაც დედაქალაქმა გემრიელი ლუკმებით აღნიშნა დამოუკიდებლობის დღე, ნასუფრალზე ტაბელის გადასაბრუნებლად ნახევარწლიანი შეუჩერებელი პროტესტის მონაწილენი მივიდნენ და შესაშური ყურადღებით უსმინეს ორპასპორტიანი, მაგრამ მაინც უსამშობლო ექს-პრეზიდენტის 20-წუთიან აბდაუბდას. დიახ, აფერუმ მათ, ვინც **ქალბატონი სალომესგან** სიტყვა „პლატფორმის“ სხვადასხვა ბრუნვაში რახარუხიდან რაიმე გაიგო. მასპინძლისგან განსხვავებით, ორატორული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა ძვირფასი ლიეტუველი, მაგრამ მენტალიტეტით მაინც საბჭოეთში ჩარჩენილი ევროპარლამენტარის **რასა იუკნევიჩიანეს** ხანმოკლე მონოლოგი, რომელმაც უკვე გაცვეთილი ფრაზებით სცადა ხროტინის ფაზაში გადასული საპროტესტო ტალღის რეანიმირება. რაც მთავარია, ხომ სცადა, ესე იგი პატრონების წინაშე თავს მოიწონებს, რუსთაველზე ტყუილად არ მიწიკვინიაო.

საყურადღებოა **მეხუთე ფაქტიც: „ძაღლი** ყეფს, ქარავანი მიდისოსი“ არ იყოს, ვინ იცის ვაიმარის სამეულის ქვეყნების ლიდერთა ბოღმიანი გზავნილის პარალელურად რამდენ მოაგენტო ელემენტსა თუ ყოველივე ქართულისა და ქრისტიანულის მტერს დაემართა გულყრა, როცა დასავლეთელთა, განსაკუთრებით – პრეზიდენტ ტრამპის მილოცვებს გაეცნო. ჯერ სადა ხართ – ეს მხოლოდ დასაწყისია!

* * *

**რაც შეეხება მორიგ ფაქტებს**, ისინი ორგანულად გადაება ერთმანეთს: დიახ, სიმბოლურია, რომ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით შსს-ს მიერ სამ თვეში დაკავებული გაქნილი თაღლითის **გიორგი ბაჩიაშვილის** რუსთავის ციხეში მიბრძანებისთანავე მინისტრის პოსტს ვალმოხდილი გამოეთხოვა **ვახტანგ გომელაური** და ასპარეზი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე გამოცდილ კოლეგას **გელა გელაძეს** დაუთმო.

* * *

**ჩაროზად, სპორტულ-პოლიტიკური ფაქტი**: იტალიის საკალათბურთო სერია – ა-ს პლეი-ოფში **თორნიკე შენგელიამ** ბოლონიას ვირტუსი ნახევარფინალში გმირული ძალისხმევით გაიყვანა, რადგან ვენეციასთან დასკვნითი ბრძოლის კრიტიკულ მომენტში, ტვინის შერყევის მიუხედავად, მეტოქეს 7 ქულა ჩაუგდო.

**გია პლატონიშვილი**

# პუტინი ტრამპს იდიოტად თვლის?!



**„ტრამპი, როგორც ჩანს, საბოლოოდ მიხვდა, რომ პუტინი მას იდიოტად თვლის. იმედია, გაბრაზებული დონალდი ვლადიმერს ჩექმიან ფეხს მტკივნეულ ადგილზე დაარტყამს“** – ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ გაზეთ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნებულ სტატიას (ავტორი – ჰემიშ ბრეტონ-გორდონი, ექსპერტი, გადამდგარი პოლკოვნიკი), რომელშიც კომენტირებულია აშშ-ის პრეზიდენტის რეაქცია მისი რუსი კოლეგის ვლადიმერ პუტინის ნაბიჯზე, რომელიც ბოლო დღეებში კიევისა და უკრაინის სხვა ქალაქების მასირებულმა დაბომბვამ გამოიწვია.

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

The Daily Telegraph

**გასულ შაბათ-კვირას, როცა უკვე მცირე დროა დარჩენილი სამშვიდობო მოლაპარაკების პროცესის განახლებამდე, რუსეთმა მასირებული დარტყმა მიაყენა უკრაინას დრონებით და ბალისტიკური რაკეტებით. ეს იყო კვირის საომარი მოქმედებების კულმინაცია. დაბომბვის ქვეშ მოჰყვნენ სამოქალაქო ობიექტები.**

კრემლი, რა თქმა უნდა, აცხადებს, რომ მისი არმია მხოლოდ სამხედრო ობიექტებს ანადგურებს, მაგრამ რუსეთის ყველაზე ცინიკურ მომხრეებსაც კი გაუჭირდებათ იმის თქმა, რომ უკრაინის სკოლები და საავადმყოფოები ტანკებით და რაკეტებით არის სავსე, ანუ ვერაფრით გაამართლებენ ასეთი შენობების დაბომბვას. თვით აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპიც კი, როგორც იქნა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვლადიმერ პუტინი მას სულელად თვლის: **ამას მოწმობს მისი სარკასტული გამონათქვამი რუსი ლიდერის მიმართ („პუტინი ჭკუიდან გადავიდა“).**

**აშშ-ის პრეზიდენტმა კვირას განაცხადა, რომ მას არ მოსწონს ის, რასაც ვლადიმერ პუტინი აკეთებს და იგი „გიჟად“ შერაცხა. თავის მხრივ, ცეცხლზე ნავთი დაასხა კრემლის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა, რომელმაც თქვა, რომ აშშ-ის ლიდერს „ემოციური გადატვირთვები“ აქვს და გაუვლისო. იმავდროულად რუსეთის პრესა ხაზს უსვამს დონალდ ტრამპის „პრორუსულობას“ იმით, რომ აშშ-ის მთავრობა მაღალ ტარიფებს ევროპას უწესებს და არა რუსეთს.**

რუსული პრესა, რა თქმა უნდა, სავსეა ანტიუკრაინული და ანტიევროპული რიტორიკით, მაგრამ მასში არის ბევრი ინფორმაცია, რომელიც რუსეთის ეკონომიკის სახიფათო მდგომარეობას ასახავს. ყველაფერი, ტანკების წარმოების გარდა, თავისუფალი ვარდნის რეჟიმში იმყოფება. თვით ტანკების წარმოებაც არასაკმარისია იმისათვის, რომ ომში განცდილი მძიმე დანაკარგების კომპენსირება მოხდეს. თუ აშშ და საუდის არაბეთი მუქარებს აასრულებენ და ერთი ბარელი ნავთობის მსოფლიო ფასი 50 დოლარამდე დაეცემა, მაშინ რუსული სამხედრო მანქანა წლის ბოლომდე გაჩერდება.

**შეშფოთებას იწვევს აგრეთვე ის, რომ რუსულ მასმედიაში ფართოდ არის გავრცელებული მტკიცება – თითქოსდა „იურიდიულად“ საბჭოთა კავშირი ისევ არსებობს, ანუ აქედან გამომდინარე, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე ე.წ. „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ მოსკოვის (სსრ კავშირის) საშინაო საქმედ ითვლება. ამგვარი ლოგიკის მიხედვით, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ბედი ელოდებათ ჯერ ბალტიისპირეთს, შემდეგ კი პოლონეთს, თუ რუსული „საბჭოთა“ ჯარები ამ ქვეყნებში შეიჭრებიან. სწორედ ამიტომ ვილნიუსი, რიგა, ტალინი და ვარშავა აქტიურად აძლიერებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს.**

**კიდევ უფრო პოზიტიური ევროპისათვის ისაა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, როგორც იქნა, გააცნობიერა, რომ რუსები მას იდიოტად თვლიან. მოსკოვი ბოლო დროს აქტიურად ცდილობდა დონალდ ტრამპის სახელის გატეხვას და მისი ავტორიტეტის დაცემას. აშშ-ის ლიდერმა გვიან, მაგრამ მაინც აღიარა, რომ „ცუდი ბიჭები“ კიევში და ევროპის სხვა დედაქალაქებში კი არ სხედან, არამედ მოსკოვში.**

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ კრემლმა ამ დღეებში ყველაზე დიდი შეცდომა დაუშვა, როცა დონალდ ტრამპის პატივმოყვარეობას ყურადღება აღარ მიაქცია. ეს ისეთი შეცდომაა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი, ალბათ, მალე ინანებს. რუსეთის მიერ გამოვლენილი უპატივცემლობით განრისხებულ დონალდ ტრამპს ახლა შეუძლია „თითი დააჭიროს ღილაკს“ და მოსკოვს მნიშვნელოვანი სანავთობო შემოსავლები შეუწყვიტოს, რომლითაც იგი თავის მრავალრიცხოვან არმიას ინახავს და კრიზისამდე მისულ ეკონომიკას წაქცევის შესაძლებლობას არ აძლევს.

**დარწმუნებული ვარ (და ჩემთან ერთად ბევრი სხვაც), რომ დონალდ ტრამპი ახლა იმდენად არის გაბრაზებული, რომ მზად არის, ჩექმით კრემლს ყველაზე მტკივნეულ ადგილზე დაარტყას. ეს იქნება საუკეთესო შანსი ომის დამთავრების მიზნით და არა მოლაპარაკების მცდელობები ვლადიმერ პუტინთან.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**

**წინ მიდევს რუსუდან ლორთქიფანიძის წიგნი „პრაქტიკული პუბლიცისტიკის წახნაგები“. როდესაც ახალგამოსულ წიგნს ვნახავ, პირველად ავტორი მაინტერესებს, შემდეგ წიგნის შინაარსი, იმასაც ვაქცევ ყურადღებას, რას შემძენს ამ წიგნის წაკითხვა, ან ვის გამოადგება ის ოჯახში. ამიტომაც შეძენამდე წინასიტყვაობას გადავხედავ, ავტორსაც (თუ უცნობია) გავეცნობი. ამის საშუალებას ხომ თანამედროვე მწერლები თავად გვაძლევენ — ხანდახან მწერლის ბიოგრაფია, დამსახურებები, ღვაწლი, წარმომავლობა და ცხოვრების წესი ისეთი სიზუსტითაა წარმოდგენილი (თავად ავტორების მიერ), რომ ნაწარმოებზე მეტ ადგილს იკავებს. შემდეგ ალაგ-ალაგ გადავხედავ და გუწრფელი დასკვნა გამომაქვს.**



# ჟურნალისტი — ჟურნალისტთა აღმზრდელი

**მაშ, ასე... ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეს, სანამ ჟურნალისტიკაში შემოვაბიჯებდი, მანამ ვიცნობდი. ჯერ სახელითა და გვარით, მისი წერილებით, შემდგომ ერთ რედაქციაში, გვერდიგვერდ მოგვიწია მუშაობა და თითქმის ათი წელი ერთად ვემსახურებოდით ამ პროფესიას.**

ალალი, შრომისმოყვარე, განათლებული, შესანიშნავი ჟურნალისტი და, რაც მთავარია, უკომპრომისო. ამაზე რუსუდანის წერილებიც მეტყველებს, რომლებიც იმ დროსაა გამოქვეყნებული, როდესაც ჩვენი კოლეგების უმეტესობა, როგორც იტყვიან, შეკვეთებზე მუშაობდა და სიმართლეს ვერ გაექცევი — მატერიალური კეთილდღეობისთვის. რუსუდანი სულ სხვა იყო. ნებისმიერი ხელისუფლების დროს (ოთხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული) მისი მწვავე, კრიტიკული პუბლიცისტიკა მკითხველისთვის „გულისმოსაფხან“ წერილებად იკინძებოდა. არ ეპუებოდა უსამართლობას, მოქალაქის ინტერესების უგულებელყოფას (ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც ზემონახსენები წიგნი მართლაც გულდასმით წავიკითხე, მიუხედავად იმისა, რომ მისი წერილების უმეტესობა მარტო წაკითხული კი არა, მისი შექმნის დროც ვიცოდი). ასე იყო ბატონ ედუარდ შევარდნაძის დროს (ვფიქრობდი — კრიტიკულ წერილებს თავად ხომ არ უკვეთავს სახელმწიფოს პირველი პირი-მეთქი), ასე იყო ვარდების რევოლუციისა და მის შემდგომ პერიოდში (მაშინაც ვფიქრობდი დღე-დღეზე დაიჭერენ ამ კაფანდარა, მებრძოლ ქალბატონს-მეთქი), ასე იყო „ოცნების“ დროსაც (გავიხსენოთ რუსუდანის წერილი **„ორთვლიანი ეტლი ხელისუფლებისთვის, ანუ სიტყვა, რომელსაც „ქართული ოცნების“ ყრილობაზე ვიტყოდი“**. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ N131. 19 თებერვალი, 2013 წელი).

მოკლედ, რუსუდან ლორთქიფანიძის წიგნს აუცილებლად წავიკითხავდი და წავიკითხე კიდეც, თანაც ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ.

## „პრაქტიკული პუბლიცისტიკის წახნაგები“

**გამოცდილი მკითხველი მიხვდება, რომ წიგნი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ხასიათის უნდა იყოს და იმ ლაბირინთებში გამოგზაურებს, რომელსაც ჟურნალისტიკის საიდუმლოებების აღმოსაჩენად გაუყვები.**

რაოდენ გასაკვირია, რომ სერგეი მესხის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკისა და ვაჟას პუბლიცისტიკის კითხვის შემდეგ, თანამედროვე პუბლიცისტთა ნაწარმოებების გაცნობისა და უცხოელი ჟურნალისტ-პუბლიცისტთა ნააზრევის გადათვალიერებისას, თითოოროლა ადამიანს თუ მოსვლია თავში, შეექმნა წიგნი, რომელიც გზამკვლევი იქნებოდა ქართველი ჟურნალისტებისთვის. აღნიშნავს კიდეც ამ შესანიშნავი წიგნის რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თემურ ჯაგოდნიშვილი** წიგნის წარდგინება-წინასიტყვაობაში: **„აღნიშნული თვალსაზრისით, რუსუდან ლორთქიფანიძის ნაშრომს ღირსებას ის გარემოებაც მატებს, რომ პრაქტიკული პუბლიცისტიკის მიმართულებით ქართულ ჟურნალისტიკამცოდნეობაში თითზე ჩამოსათვლელია მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი სასწავლო-მეთოდური ნაშრომები. მათ შორის ერთ-ერთ სერიოზულ ცდას წარმოადგენს რევაზ სურგულაძის დამხმარე სახელმძღვანელო „პრაქტიკული პუბლიცისტიკა“ (2021), სადაც ქართულ სინამდვილეში პირველად არის ნაცადი პუბლიცისტიკის, როგორც აზროვნების დამოუკიდებელი მიზნობრივი სავარჯიშო მასალის საფუძველზე სწავლება“.**

დიახ, თითზე ჩამოსათვლელია ლიტერატურა, რათა სტუდენტმა ჟურნალისტიკის ეს ერთ-ერთი მიმართულება შეისწავლოს, არსებობს საცნობარო ლიტერატურა, მაგრამ ეს საკმარისი არაა...

ისევ ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს დავესესხები — **„ამ გარემოებას ჯეროვნად ითვალისწინებს რუსუდან ლორთქიფანიძე. ამას ცხადყოფს მიზნისკენ სვლა — პუბლიცისტიკის ანბანის რკვევის გზა, რომელსაც აფუძნებს, ერთი მხრივ, პუბლიცისტის არსზე მსჯელობა, ამ არსზე სხვადასხვა მკვლევრების თვალსაზრისების მიმოხილვა და კონცეპტუალური თავმოყრა, პუბლიცისტიკის რაობის შესწავლის ისტორიის წარმოჩენა“.**

## წიგნის სტრუქტურა

**რუსუდან ლორთქიფანიძის „პრაქტიკული პუბლიცისტიკის წახნაგები“ მასტერკლასის პრინციპზეა აგებული. წიგნი შეიცავს ჟურნალისტიკამცოდნეობის ესეებს პუბლიცისტიკის არსზე, სადაც ავტორი ოსტატურად ახერხებს ჟანრობრივი თავისუფლების წყალობით მკითხველამდე ნაფიქრ-ნააზრევის მიტანას, ხოლო პრაქტიკულ, ანუ სასემინარო ნაწილში, გვთავაზობს სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული თავისსავე პუბლიცისტური ნაწერების განხილვას, შესაბამისი შეფასება კრიტერიუმებითა და დავალებებით.**

**რა საინტერესოდ იკითხება, ისწავლება, გამახსოვრდება!**

შესანიშნავ მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს შეფასების კრიტერიუმები, რომელიც ქვეთავებში გაერთიანებულ წერილებს ერთვის. მაგალითისთვის რამდენიმეს მივაწვდი მკითხველს და თავად განსაჯეთ, რა საინტერესო იქნება ქალბატონი რუსუდანის ლექციებზე დასწრება.




**1. დამაჯერებლად არის თუ არა აღწერილი მოვლენა, ფაქტი?**

**2. როგორ არის გადმოცემული მოვლენა თანმიმდევრულად თუ მონტაჟურად?**

**3. თქვენი აზრით, როგორ აჯობებდა კონკრეტული მოვლენის აღწერა?**

**4. დეტალები, რომლებიც ავტორის ოსტატობაზე მეტყველებს;**

**5. თქვენ, როგორ აღწერდით ამავე ფაქტს?**

**6. დამაჯერებლად არის თუ არა პრობლემა გაანალიზებული. ხომ არ ტოვებს მიკერძოებულობის შთაბეჭდილებას?**

დიახ, სტუდენტს თავად შეუძლია შეამოწმოს პედაგოგის ნაშრომი, თავად გაანალიზოს მოცემული წერილის ავკარგიანობა, მიზანი მისი დაწერისა და როგორ მივა მკითხველამდე ავტორის ჩანაფიქრი.

მართლაც საოცარი, ერთობ ორიგინალური წიგნი-სახელმძღვანელოა, არცაა გასაკვირი, ავტორი ხომ პროფესიონალი ჟურნალისტია, დიდი გამოცდილების მქონე და ჟურნალისტიკის მეტრებთან მოღვაწეობით დაგროვილი უდიდესი გამოცდილებით. სწორედ ესაა ამოსავალი წერტილი იმისა, რომ მას შეუძლია თავისი გამოცდილება გადასცეს სტუდენტებს. სწორედ ამ ჟურნალისტური სიმდიდრით, თავისი ერუდიციით, თავანკარა ქართულით და ჟურნალისტური მრავალწლიანი გამოცდილებით მიდის ის სტუდენტებთან.

სწორედ ამის დადასტურებაა ეს წიგნიც. თავად ავტორს ეამაყება თავისსავე მასწავლებლების გამოცდილების გაზიარება 21 საუკუნის ახალგაზრდობისთვის, თავს თვლის ისეთი დიდი პედაგოგის სკოლის წარმომადგენლად, როგორიც ბრძანდებოდა ბატონი **ნოდარ ტაბიძე.** წიგნის შესავალში მადლობას უხდის ყველა კოლეგას, ვისთანაც უმოღვაწია. მარტო მათი სახელების ჩამოთვლაც, სამადლობელო წერილში, მაგალითია იმისა, თუ რა დიდი სკოლა გაიარა რუსუდან ლორთქიფანიძემ მათთან ურთიერთობით. საამაყოა, რომ ჩვენი კოლეგა უკვე ოცდაათი წელია მოღვაწეობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტში.

უძღვება სასწავლო კურსებს ბაკალავრიატში — სოციალური საკითხების გაშუქება, მასკომუნიკაციის სოციოლოგია, აკადემიური წერის ელემენტები, ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები, ბეჭდურ გამოცემათა შემოქმედებითი დაგეგმარება — ესაა ფართო სპექტრი მისი პედაგოგიური მოღვაწეობისა. აღსანიშნავია, რომ მისი ხელმძღვანელობით დაცულია 5 სადოქტორო და 2 სამაგისტრო დისერტაცია. წარმატებით ხელმძღვანელობს დოქტორანტებისა და მაგისტანტების მომზადებას. გახლავთ სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი.

## მადლობა თქვენდა...

**„უდიდესი მადლიერებით წიგნს ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს (ამ სიტყვის კლასიკური შინაარსით), რომლებმაც ფეხი ამადგმევინეს და პროფესიონალიზმის გზაზე გამიყვანეს, როგორც პრაქტიკულ ჟურნალისტიკაში, ასევე სამეცნიერო სფეროში. ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტებს ნარგიზა მგელაძეს, ოთარ იოსელიანს, გურამ გოგიაშვილს, არმაზ სანებლიძეს, რუსლან რუსიას, თეიმურაზ მეტრეველს, არჩილ გოგელიას, სპარტაკ ქობულიას, ალეკო ასლანიშვილს“** — ასე ემადლიერება იგი თავის უფროს კოლეგებს.

ჩემი მხრივ დავამატებდი, მადლობა თქვენ, ქალბატონო რუსუდან, თქვენი პროფესიონალიზმისა და თავდადებისთვის, მადლობა იმისთვის, რომ 21-ე საუკუნეში, როდესაც ყველა ჟურნალისტობს, თქვენ ერთ-ერთი ნათელი ადამიანი ბრძანდებით ჩვენს პროფესიაში, რომელსაც შეუძლია მართლაც პროფესიონალი ჟურნალისტების აღზრდა, რათა ამ რთულ პროფესიას შეჰმატოს ის ახალგაზრდები, რომლებიც ჭეშმარიტებისთვის იღვაწებენ, რომელთა ბასრი კალამი მოუსყიდველი იქნება. ამის ნათელი დადასტურება კი ჟურნალისტებისთვის მართლაც სამაგიდო წიგნი **„პრაქტიკული პუბლიცისტიკის წახნაგებია“**, რომლის შესახებაც შეძლებისდაგვარად ვესაუბრე ჩვენი საყვარელი გაზეთის მკითხველებს. სწორედ იმ გაზეთის ფურცლებიდან, სადაც ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს, სატკივარსა და სიხარულს თქვენეული პირდაპირობით გადმოსცემდით ათეული წლების მანძილზე.

**107 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ ხომ თქვენი დაოსტატების კერა იყო... გაზეთში დაბეჭდილ სიტყვას, ანუ საგაზეთო პუბლიცისტიკას ხომ სოციალურ ქსელებსა და ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პოსტები ვერასოდეს ვერ შეედრება.**

**გაზეთი მაინც სულ სხვაა! სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვათა მრავალთა ფუძეჩაყრილი და ერის საგანმანათლებლო სფეროდ დამკვიდრებული!..**

**ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ სულ სხვაა რუსუდან ლორთქიფანიძის ეს მეცნიერულ-პრაქტიკული, სტუდენტი-ახალგაზრდობისთვის, ფართო მკითხველისთვის განკუთვნილი ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი წიგნი.**

**მამუკა ვაშაკიძე**

# თერთმეტი მედლით ბრატისლავიდან



**24 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა კანოე-კაიაკში ახალგაზრდებსა და 23-წლამდელებს შორის 38-ე საერთაშორისო რეგატაში, რომელსაც სლოვაკეთის დედაქალაქმა ბრატისლავამ უმასპინძლა. შეჯიბრებაში წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ნიჩბოსნებმა, რომლებმაც ოქროს 6, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 1 მედალი დაიმსახურეს.**

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა, 21 წლის **ალექსანდრე წიკლაურმა**, რომელმაც საქართველოს დელეგაციას ოქროს ხუთი და ვერცხლის ორი ჯილდო შესძინა. 23-წლამდელებში პირველი „ოქრო“ მან 1000 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი მოიპოვა – ოლიმპიური დისტანცია 4:36.640 წამში დაფარა. წიკლაურმა შეჯიბრების მეორე დღეს 500 (1:56.120) და 200 მეტრზეც (42.880) აჯობა ყველას.

ალექსანდრემ ორადგილიანი კანოეთიც იყოჩაღა – **ნიკოლოზ როყვასთან** ერთად 500 მეტრზე პირველი (1:54.060) იყო, 1000 (4:21.060) და 5000 მეტრზე (25:52.312) კი მეორე ადგილები დაიკავა. წიკლაურმა კიდევ ერთი „ოქრო“ 500 მეტრზე ოთხადგილიანი კანოეთი **ნიკოლოზ როყვასთან, სანდრო ჭოჭუასა** და **ომარ გაზდავასთან** ერთად მოიპოვა. გაზდავას 5000 მეტრზე (30:32.929) ერთადგილიანი კანოეთი ბრინჯაოს მედალი ხვდა.

23-წლამდელებში **ნიკა ოდიშელიძემ** ერთადგილიანი კაიაკით ფინალში 200 მეტრი 38.040 წამში დაფარა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 18-წლამდელებში **მანანა პეტრიაშვილმა** ერთადგილიანი კანოეთი 1000 (5:19.740) და 500-მეტრიან (2:22.580) დისტანციებზე მეორე ადგილები დაიკავა.

* * *

**საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა პოლონეთის ქალაქ პოზნანში იასპარეზეს.** მსოფლიოს თასის მეორე ეტაპზე ერთადგილიანი კანოეთი 200 მეტრზე **გია გაზდავამ,** რომელიც 23-წლამდელებში ევროპის ჩემპიონია, A ფინალში 40.49 წამით მე-6 ადგილი დაიკავა. ერთადგილიანი კაიაკით მსოფლიოს ვერცხლისა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ბადრი ყაველაშვილი** 200 მეტრზე მთავარ ფინალში 36.15 წამით მე-7 ადგილს დასჯერდა.

პარაკანოეში საქართველოს სახელით **სერჰი იემელიანოვმა** (KL3 კატეგორია) იასპარეზა. ერთადგილიანი კაიაკით 200 მეტრზე მან (40.77) ოქროს მედალი მოიპოვა. საგულისხმოა, რომ პარაკანოეში ეს საქართველოსთვის პირველი ჯილდოა.

**ნინი წულაია**

# ოქსანას ბენეფისი

**პარიზში ჩოგბურთელ ვაჟთა საფრანგეთის ღია პირველობაზე ნიკოლოზ ბასილაშვილი (რეიტინგი 133-ე) საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება.**

როგორც ვწერდით, მან ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან **გაისი ბრუვერი** (ნიდერლანდები, 223-ე, 6:3, 6:2), **ვალენტინ ვაჩეროტი** (მონაკო, 234-ე, 7:6, 6:3), **ჯეფრი ბლანკანე** (საფრანგეთი, 270-ე, 6:2, 6:4) და მთავარ ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. 27 მაისს პირველ რაუნდში **ჰენრიქ როშასთან** (პორტუგალია, მე-200) არკვევდა ურთიერთობას. შეხვედრა 3 საათსა და 56 წუთს გაგრძელდა. ქართველი ჩოგბურთელი ხუთ სეტში 2:3 (6:7, 6:2, 6:7, 6:2, 2:6) დამარცხდა და ასპარეზობას გამოეთიშა.



თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ავსტრალიელ **მაია ჯოინთთან** ერთად მაროკოში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის წყვილთა შეჯიბრებაში მონაწილეობდა. დუეტმა ზედიზედ აჯობა **ჯესი ანეისა** და **ჯესიკა ფეილას** (ორივე – აშშ, 2:6, 7:5, 10:6), **ნიკოლ ფოსა ჰუერგოსა** (იტალია) და **ალიონა ბოლშოვა-ზადოინოვს** (ესპანეთი, 7:6, 6:0), მეოთხე ნომრად განთესილ **მაია ლუმსდენსა** (დიდი ბრიტანეთი) და **ძიანჰუ თანს** (ჩინეთი, 7:5, 7:5). გადამწყვეტ შეხვედრაში ოქსანამ და მაიამ **კამილა როზატელო** და **ანჯელიკა მორატელი** (ორივე – იტალია) 6:3, 7:5 დაამარცხეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

კალაშნიკოვამ და ჯოინთმა მაროკოდან პარიზში გადაინაცვლეს და საფრანგეთის ღია პირველობაში ჩაებნენ. გუშინ ქართულ-ავსტრალიურმა დუეტმა სტარტზე მერვე ნომრად განთესილ **სოფი კენინისა** (აშშ) და **ლუდმილა კიჩენოკის** (უკრაინა) ტანდემს სძლია ორ პარტიაში.

**სალომე სოფრომაძე**

# ხორხელთა სანუკვარი მიზანი



**ფეხბურთელი ძმების ხსენებისას ყველა ქართველს ტყავის ბურთის შესაშური ოსტატები – არველაძეები დაუდგება თვალწინ, თუმცა დღეს ჩვენ ახალგაზრდა მოთამაშეებზე – ხორხელებზე გიამბობთ.**

საფეხბურთო დინასტიის სათავეში ოჯახის მამა დგას – ყოფილი მოთამაშე და ამჟამად მწვრთნელი **ლევან ხორხელი,** რომელმაც მთელი ცხოვრება სპორტს შეალია და შვილებს ფეხბურთის ანბანა ასწავლა.



ძმები საფეხბურთო გარემოში გაიზარდნენ. უფროსი ვაჟიც, პირველი მაგალითი და მოტივაცია უმცროსებისთვის, სპორტის ამ სახეობით იყო გატაცებული, მაგრამ კარგა ხანია, სხვა სფეროში გადაინაცვლა. ნაბოლარა ძმა ჯერ ასაკით პატარაა, თუმცა, შესაძლოა, საფეხბურთო მინდორზე ისიც მალე ვიხილოთ. **ლუკა, ანდრია** და **ნიკა კი** ოჯახურ ტრადიციას აქტიურად აგრძელებენ: ლუკა ხორხელი გამორჩეული ტალანტის მქონე ახალგაზრდაა, რომელიც წყალტუბოს „სამგურალის“ ღირსებას იცავს. ნიკა „იბერია 1999-ში“ თამაშობს, სადაც სტაბილურობით გამოირჩევა. ანდრია კლუბ „ბახმაროს“ წევრია.

ერთი ძმა დაცვაშია. მეორეს სწრაფი შეტევები და აგრესიული თამაშის მანერა იზიდავს, მესამე კი მებრძოლი სულით გამოირჩევა. განსხვავებული სტილის მიუხედავად, საერთო მიზანი ერთი აქვთ – ქართული ფეხბურთის წინსვლაში საკუთარი წვლილის შეტანა.

– როცა ოჯახში ყველა ფეხბურთელია, გზის არჩევა, თითქოს, მარტივია, – მითხრა ანდრიამ. – მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩემს შემთხვევაში პირიქითაა – უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ საკუთარი თავისა და ოჯახის წინაშეც. ბავშვობიდანვე ლამის მოედანზე ვიზრდებოდი – ჩემი ოცნებაც ეს იყო. ისე, შენი სურვილი ოჯახის ტრადიციას რომ ემთხვევა, ამას არაფერი ჯობია.

**– პირველ მწვრთნელად მამა გყავდა. წვრთნის დროს სიმკაცრეს იჩენდა თუ, როგორც შვილი, შეღავათებით სარგებლობდი?**

– ვარჯიშისას მამაშვილობა მოედანს მიღმა რჩებოდა. მამა მკაცრი და ძალიან მომთხოვნია, ოღონდ ნორმის ფარგლებში. ეს მოტივაციას მაძლევდა და დღემდე ასეა.

**– ძმებს ერთმანეთის წინააღმდეგ თუ გითამაშიათ?**

– მე მათთან არა, მაგრამ ლუკას და ნიკას ერთმანეთთან – კი. ჩვეულებრივი ამბავია – ჩვენ ხომ სხვადასხვა გუნდში ვთამაშობთ.

**– საინტერესო ამბებიდან რას გაიხსენებდი?**

– შარშან თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატში ლუკა მესამე წრის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ეროვნული ლიგის ოცდაერთწლამდელთა ნაკრებში მიიწვიეს, რაც მთელი ოჯახისთვის ძალიან სასიხარულო და საამაყო იყო.

**– სამომავლო გეგმებზე რას იტყვი?**

– ჩვენი ოცნება და უპირველესი მიზანი ეროვნულ ნაკრებში თამაშია, არც უცხოურ კლუბებში მოხვედრაზე ვიტყოდით უარს. ვიცით, რომ ბევრი შრომაა საჭირო. საამისოდ მზად ვართ და გაჩერებას არ ვაპირებთ...

ხორხელების ყოველდღიური საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სპორტი ოჯახის იდენტობის ნაწილად იქცეს. ძმებისთვის ფეხბურთი მხოლოდ პროფესია არ არის – ცხოვრების წესია. ისინი ბავშვობიდანვე მოედანს არიან შეზრდილები. ვისაც ფეხბურთი უყვარს, დაგვეთანხმება, რომ წარმატებისთვის ნიჭთან ერთად მუდმივი შრომა, საყვარელი ადამიანებისა და ოჯახის მხარდაჭერა, დისციპლინა და შინაგანი მოტივაციაა საჭირო.

ყოველივე ეს კი მოჭარბებულად აქვთ ძმებ ხორხელებს, რომელთა ნამდვილი ამბავი ახლა იწყება...

**ქეთევან ქეთელაური**

## მეუღლის ჩანაწერები

# ჩემი ცხოვრების ნაოცნებარი ბედნიერება...

**ფეხბურთი ხშირად სტატისტიკით ფასდება – გოლებით, პასებით, მოგებული მატჩებით. მაგრამ არიან მოთამაშეები, რომელთა ღირებულება ციფრებს სცილდება. ვაჟა ფაცაცია სწორედ ასეთ პიროვნებად მიმაჩნია. მისი პროფესიონალიზმი, ინტელექტი და ადამიანური თვისებები თანაბრად ხიბლავს გულშემატკივარს მინდორზეც და მის მიღმაც.**



იგი 27 წლისაა. საფეხბურთო კარიერა კლუბ „საბურთალოში“ დაიწყო. სხვადასხვა დროს მარტვილის „მერანში“, ბათუმის „დინამოსა“ და „თელავში“ თამაშობდა. 2024 წელს კარიერა ლატვიის უმაღლესი ლიგის კლუბ „ლიეპაიაში“ განაგრძო, მერე სომხურ კლუბ „ალაშკერტში“ გამოდიოდა, ახლა ის რუსთავის საფეხბურთო კლუბის ღირსებას იცავს. არაერთხელ უთამაშია საქართველოს 17, 19 და 21-წლამდელთა ნაკრებ გუნდებში.

ფეხბურთელებს, მოგეხსენებათ, ფიზიკურ გამძლეობას ასწავლიან, ვაჟამ კი მორალური გამძლეობაც შეიმუშავა. განსაკუთრებით ეს რთულ მომენტებში ვლინდება. მაშინაც კი, როცა მის გარშემო ყველაფერი დუღს, ის ემოციურ აფეთქებებს სიმშვიდეს ამჯობინებს და სწორედ ამ სიმშვიდეშია მისი ძალა: ყოველთვის ახერხებს მთელი გუნდის დამშვიდებასა და გამხნევებას. თანაგუნდელებს მარტოს არასდროს ტოვებს. მხოლოდ საკუთარი წარმატებისთვის არასდროს თამაშობს, რადგან მიაჩნია, რომ „გუნდი“ გაცილებით მეტია, ვიდრე თერთმეტი ფეხბურთელი. ის დღე უხარია, დაუღალავ შრომას შედეგი რომ მოჰყვება, ტრავმის შემდეგ მოედანს დაუბრუნდება და ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებს, სხვებს სტიმულს აძლევს.

**არ გეგონოთ, რამეს ვაჭარბებდე. ვინც ვაჟას იცნობს, ყველა დამეთანხმება.**

**ოთხი წლის წინათ შევხვდით ერთმანეთს. მაშინ ახალი გადმოსული იყო საფეხბურთო კლუბ „თელავში“. ჩემი ყურადღება გარეგნობასთან ერთად მისმა ჯენტლმენურმა თვისებებმა მიიპყრო. მასში დავინახე უზომოდ ძლიერი პიროვნება, რომელსაც ცხოვრების კრედოდ სხვების პატივისცემა და თანადგომა, დაუღალავი გარჯა და თავმდაბლობა გაუხდია.**

**მოდი და ნუ შეგიყვარდება ასეთი ადამიანი. ჰოდა, მეც შემიყვარდა. ვაჟამ ჩემს ცხოვრებაში ნაოცნებარი ბედნიერება შემოიტანა: ერთი წლის წინ ლიეპაიაში, ზღვის სანაპიროზე, მზის ჩასვლისას მთხოვა ხელი. ჩემთვის ეს უბედნიერესი დღე იყო.**

**ხშირად მსმენია, რთულიაო სპორტსმენის ცოლობა. ფეხი უნდა აუწყო მის რთულ ცხოვრებას, დღის რეჟიმს, ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში ხეტიალს. ამიტომ ფეხბურთელების მეუღლეებს ხშირად გვიწევს საკუთარ მიზნებსა და კარიერაზეც უარის თქმა, რაც იოლი არ არის, მაგრამ ვაჟა არის კეთილი, ყურადღებიანი ადამიანი, რომელიც ყველანაირად ცდილობს, ჩემი სურვილებიც გაითვალისწინოს. სიყვარული, ერთმანეთზე ზრუნვა და ხელშეწყობა იმ სირთულეებს გადაგვალახვინებს, რომლებსაც ზოგჯერ ვაწყდებით.**

**იგი არანაკლებ საინტერესო პიროვნებაა მოედანს მიღმა: თავისუფალ დროს უყვარს ნადირობა, თევზაობა, ჭადრაკის თამაში. ეს უკანასკნელი მისთვის უბრალოდ გართობა არ არის – ცხოვრების მეტაფორაა. განსაკუთრებულია ვაჟას მიწასთან დამოკიდებულება – სიამოვნებით მუშაობს ბაღში. აშკარად ვგრძნობ, რომ მისი შინაგანი წონასწორობა სწორედ ბუნებასთან კავშირით არის განპირობებული.**

**როგორც მეუღლე, ვაჟას იმ თვისებებსაც ვხედავ, რომლებიც კამერების მიღმა რჩება – კეთილშობილება, საოჯახო ღირებულებებისადმი ერთგულება და მხარდაჭერისთვის მუდმივი მზაობა. იგი დღესაც განაგრძობს კარიერულ გზას. ტრაბახად ნუ ჩამითვლით და ღრმად მწამს, რომ იმ ადამიანთა შორისაა, ვინც სპორტს არა მხოლოდ შედეგებით, არამედ ადამიანობითაც ღირსეულად წარმოაჩენს.**

**თამარ ტალახაძე**





**გვერდი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის – სეუს ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა მოამზადეს.**



მსოფლიოს (გინესის) ათეულობით რეკორდის ავტორი გოდერძი მახარაძემ 26 მაისს ქ. ოზურგეთში – „ჭადრების ბაღში“ 26 მაისის ღონისძიებაზე მსოფლიოს (გინესის) ორი ახალი რეკორდი დაამყარა.

# გოდერძი მახარაძის ორი ახალი მსოფლიო (გინესის) რეკორდი

პირველი – 5 წუთში თავით 394-ჯერ აკენწლა ბურთი;

მეორე რეკორდი კი შარშან, ლანჩხუთში დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება გახლდათ, როცა იგი 1 საათისა და 35 წუთის განმავლობაში თავით კენწლავდა ბურთს. მან იქ 12 006-ჯერ აკენწლა კალათბურთის ბურთი ამჯერად კი მან 1 საათსა და 44 წუთში 13 022-ჯერ აკენწლა კალათბურთის ბურთი. ეს რეკორდი მისთვის სამოცდამეექვსეა.

როგორც გოდერძი მახარაძემ გვითხრა, ეს რეკორდები ცნობილი ტელეკომენტატორების კოტე მახარაძის და ჯამლეთ ხუხაშვილის ხსოვნას მიუძღვნა. ამ რეკორდების გენერალური სპონსორია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ამჯერადაც გოდერძი მახარაძის გვერდით იყო საგანმანათლებლო-სპორტული მაღაზიების ქსელი „პეგასი“.

„ალიონი“

# ოჰ, ბაჩი, ბაჩი!.. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გიორგი ბაჩიაშვილი დააკავა



**„სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში 2025 წლის 26 მაისს განხორციელებული ანონიმური შეტყობინებით ცნობილი გახდა, რომ წითელი ხიდისა და სადახლოს შორის არსებული ე.წ. მწვანე საზღვრის მონაკვეთის მიმდებარედ გადაადგილდებოდა წითელი ცირკულარით ძებნილი და მსჯავრდადებული საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ორმაგი მოქალაქე გიორგი ბაჩიაშვილი.**

**გატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ბაჩიაშვილი დააკავეს!**

**გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას გულისხმობს და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან ხუთ წლამდე ითვალისწინებს. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მადლობას უხდის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლებს გაწეული დახმარებისთვის“,** – წერია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# მიხაელ შუმახერის ბოლიდი თითქმის 16 მილიონ ევროდ გაიყიდა

**ბოლიდი, რომლითაც მიხაელ შუმახერმა 2011 წელს უნგრეთისა და მონაკოს გრან-პრი მოიგო და „ფორმულა 1“-ის ჩემპიონი გახდა, აუქციონზე 15,98 მილიონ ევროდ გაიყიდა.**

**The New York Times**-ის ინფორმაციით, ავტომობილი **Ferrari F2001 RM Sotheby**-ს-ის მიერ გამართული ვაჭრობისას გაიყიდა. ლოტისთვის აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა, ვაჭრობა 8 მილიონი ევროდან დაიწყო. მყიდველის სახელი ტრადიციულად, არ საჯაროვდება, თუმცა, ცნობილია, რომ ის ფსონებს დარბაზიდან დებდა და არა ტელეფონით.



Ferrari F2001 შუმახერის ყველაზე ძვირადღირებული ავტომობილი გახდა, რომელიც აუქციონზე გაიყიდა. შუმახერი „ფორმულა 1“-ის შვიდგზის გამარჯვებულია. 2013 წლის ბოლოს მან ალპებში თხილამურებით სრიალის დროს თავის ტვინი ტრავმა მიიღო და მას შემდეგ საჯაროდ აღარ გამოჩენილა.



**NASA-ს ყოფილმა ასტრონავტმა რონ გარანმა 178 დღე კოსმოსში გაატარა და ეს იყო მომენტი, როდესაც ის დედამიწას უყურებდა საერთაშორისო კოსმოსური სადგურიდან.**

# ასტრონავტი საუბრობს „დიდ ტყუილზე“!..

კოსმოსში გატარებულმა დღეებმა ასტრონავტში გამოიწვია „მიმოხილვის ეფექტი“.

**„მიმოხილვის ეფექტი“ ხშირად ხდება მაშინ, როდესაც ასტრონავტები მიდიან კოსმოსში და ქვემოდან იყურებიან. ამ დროს პირველად ხედავენ დედამიწას ამ პერსპექტივიდან. გამოცდილება „ცვლის ასტრონავტების შეხედულებას და აზროვნებას ჩვენს პლანეტაზე და თავად სიცოცხლეზე“,** – განმარტავს NASA.

Big Think-თან ინტერვიუში ასტრონავტმა განმარტა: **„ჩვენ ვცდილობთ გავუმკლავდეთ ისეთ საკითხებს, როგორიცაა გლობალური დათბობა, ტყეების განადგურება, ბიომრავალფეროვნების დაკარგვა, როგორც ცალკეული საკითხები, როდესაც სინამდვილეში ისინი მხოლოდ ძირითადი პრობლემის სიმპტომებია. პრობლემა ისაა, რომ ჩვენ თავს არ ვთვლით როგორც პლანეტატორებად.**

**როდესაც საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ფანჯრიდან გავიხედე, დავინახე პაპარაცები, როგორც ელვისებური შტორმის ციმციმები, დავინახე ავრორას მოცეკვავე ფარდები, რომლებიც ისე ახლოს ჩანდნენ, თითქოს შეგვეძლო ხელით შევხებოდით. დავინახე დაუჯერებელი რამ – ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს სიმკვრივე“.**

**გარანმა გააცნობიერა, რომ ჩვენი პლანეტა და მასზე არსებული ყველა ცოცხალი არსება „ქაღალდის თხელი ფენით“ ინარჩუნებს სიცოცხლეს. მისიიდან დაბრუნების შემდეგ გარანი „აგრძელებს მუშაობას უფრო სუფთა, უსაფრთხო და მშვიდობიანი პლანეტისკენ“.**

# მორგიდან ადამიანის სხეულის ნაწილებს იპარავდა და ყიდდა!



**ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამშრომელი სასწავლებლის მორგიდან ადამიანის სხეულის ნაწილებს იპარავდა და ყიდდა.**

57 წლის სედრიკ ლოჯი ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მორგის მენეჯერი იყო. ის მორგიდან 5 წლის განმავლობაში „თავის ქალებს, ტვინს, ძვლებს და სხვა ნაწილებს იპარავდა, შემდეგ კი ყიდდა“.

**პენსილვანიის შუა ოლქის პროკურატურის ოფისის ცნობით, ერთ-ერთმა მოქალაქემ, ორგანოების გაგზავნისთვის, ლოჯის მეუღლეს 3 წლის განმავლობაში 37,355.16 დოლარი გადაურიცხა.**

**„ადამიანის სხეულის ნაწილების მოპარვა და გაყიდვა – ადამიანურ არსს ეწინააღმდეგება. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქმე იმ პირთა სხეულებს ეხება, რომლებმაც გადაწყვიტეს თავიანთი ცხედრები სამედიცინო პროფესიონალების განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოყენებულიყო“,**– განაცხადა პროკურორმა.



# ოქრო, თანაც ძალიან ბევრი!..

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან კოორდინაციით, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის საბაჟო წესების დარღვევით გადმოტანის ფაქტი გამოავლინა, რაზედაც დაკავებული იქნა ერთი პირი.**

საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით საბაჟო კონტროლისგან მალულად, კერძოდ, მისი მართვის ქვეშ მყოფი სამგზავრო ავტობუსის სალონში სპეციალურად მოწყობილი სამალავით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადმოიტანა 546 129,52 ლარის საბაჟო ღირებულების 3 197,18 გრამი ოქროს საიუველირო ნაკეთობები. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 7-წლამდე ვადით.




# ყურადღება, კონკურსი

## საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია აცხადებს კონკურსს

აკადემიის წევრის ვაკანსიებზე მათემატიკის და მექანიკის, კომპიუტერული მეცნიერებების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და აგრარულ მეცნიერებათა, სამედიცინო მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის განყოფილებებში – თითოეულში 1 ვაკანსია.

კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს – განცხადება, პირადობის მოწმობის ასლი, ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო ხარისხისა და აკადემიური წოდების ასლები, სამეცნიერო შრომების სია, 2 ფოტოსურათი (3X4).

საბუთების მიღება იწარმოებს 2025 წლის 30 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, მ.კოსტავას ქ.77, სთუ IV, ოთახი 207 და 208. შესაძლებელია საბუთების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა შემდეგ მისამართზე: t.berber@mail.com.

ცნობებისთვის: ტელ. 599 617700, 577 300192

# ამაღლება ჩვენისა იესო ქრისტესი

## 29 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ამაღლებას

**იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებით მოხდა ცისა და მიწის შეერთება, ზეციურისა და მიწიერის შერიგება.** უფლის ამაღლებას ესქატოლოგიური მნიშვნელობაც აქვს, რადგან სწორედ ამაღლება იყო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დასასრული, ხოლო მისი მეორედ მოსვლა კაცობრიობის მიწიერი მეფობის დასასრული იქნება, ამაღლებას ზნეობრივი მნიშვნელობაც გააჩნია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ მიწას, არამედ ზეცასაც ვეკუთვნით, რომ ჩვენ ვეკუთვნით დროსაც და მარადისობასაც, მატერიალურსაც და სულსაც და მიწიერი ცხოვრების დროს ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველივე მიწიერზე და მდაბალზე.

...უფალმა გამოიყვანა თავისი მოწაფეები იერუსალიმიდან და გაემართა ბეთანიისკენ. მოციქულებმა ჰკითხეს მას: **„...უფალო უკეთუ, ამათ ჟამთა კუალად მოაგო სასუფეველი ისრაელსა?“** უფალმა უპასუხა მათ: **„...არა თქვენი არს ცნობაი ჟამთა და წელიწადთა, რომელმან მამამან დასხნა თავისითა ხელმწიფითა“.**

ამ საუბარში მიაღწიეს ელეონის მთას. იესომ აკურთხა მოწაფენი და მათ წინაშე ზეცად ამაღლდა.

გაოგნებულ მოწაფეებს უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა მათ: **„ესე იესო, რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, აგრეთვე მოვიდეს ვითარცა იხილეთ აღმავალ ზეცად“.**

ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ თაყვანი სცეს ზედაც ამაღლებულ უფალს და „სიხარულითა დიდითა“ დაბრუნდნენ იერუსალიმში.

**გიული ლიპარტია**



**საქართველოს რესპუბლიკა**

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431



## გურამ გაბესკირიას პატივგება

**26 მაისის ღონისძიებები ზუგდიდში, ეროვნული გმირების პარკში, საქართველოს ეროვნული გმირის, სოხუმის ყოფილი მერის გურამ გაბესკირიას ბიუსტის გახსნით დაიწყო.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ეროვნული გმირების პარკში უკვე განთავსებულია მერაბ კოსტავას, ჟიული შარტავას, გენო ადამიას, მამია ალასანიას და 1924 წლის აჯანყებულთა ბიუსტები და მემორიალები. ეროვნული გმირების ბიუსტები, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ზუგდიდის დელეგატმა, მუნიციპალიტეტის მერმა, განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეებმა და აფხაზეთის მთავრობის მინისტრთა კაბინეტის წევრებმა გვირგვინებით შეამკეს.

# დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი ხაშურში

**26 მაისის ღონისძიებების ფარგლებში, ხაშურში, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლიცისტის და მთარგმნელის, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის – დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი გაიხსნა.**

ბიუსტი გახსნეს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა **თენგიზ ჩიტიაშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარე **ნინო ლიპარტელიანმა** და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა.

ცერემონიას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებისა და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები, თბილისიდან ჩასული მწერლები, დიმიტრი ყიფიანის შთამომავლები – თამარ და ქეთევან მიქაძეები, ბიუსტის ავტორია, მოქანდაკე გიორგი ჭანკოტაძე.



# „ეს დღე ჩვენია“!



## ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტი თბილისში

**„ეს დღე ჩვენია“ – ამ სახელწოდებით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტი გაიმართა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტზე, რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჩატარდა, მომღერალმა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების მუსიკალური შედევრები შეასრულა.

**კონცერტში მონაწილეობდნენ მომღერლები: ეკა კახიანი, მაია ჯაბუა, მაგდალენა ჯოხაძე, ნინი ბადურაშვილი, თამარ გვერდწითელი, თემურ თათარაშვილი, შაგან მამედოვი, ოთო გაზერაშვილი, ნიკოლოზ ხარატი, ასევე, ახალგაზრდული კაპელა მეკო ქავთარაძის ხელმძღვანელობით, ორკესტრი გიორგი ვართანოვის ხელმძღვანელობით, ბენდი ლაზარე ადამიას ხელმძღვანელობით, გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის გოგონათა გუნდი ნინო წიკლაურის ხელმძღვანელობით.**

# მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ყაზახეთში გაიმარჯვა

**ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრმა ყაზახეთის ქალაქ ალმათის თოჯინური სპექტაკლების მეშვიდე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ორტეკე“, საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში გაიმარჯვა.**

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, მოზარდ მაყურებელთა თეატრი ფესტივალზე სპექტაკლით „ოტელო“ წარდგა.

საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდნენ სპექტაკლის რეჟისორები – გია მარღანია და დიმიტრი ხვთისიაშვილი.

ფესტივალში 5 ქვეყნის 14 თეატრალური დასი მონაწილეობდა.



**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 ივნისს**